# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 27 ივნისი. 2022 წ. №79 (9417) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ქვეყნის ბიუჯეტის და ხალხის ჯიბის მღრღნელები!








## ფულით გადარეულნი...

## ვინ არიან ოპოზიციის დამფინანსებელი ოლიგარქები?

**ოლიგარქია – მმართველობის ფორმა, რომლის დროს ძალაუფლება უჭირავს ადამიანების ვიწრო, ელიტურ წრეს, რომლებიც ძალაუფლებას იყენებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. მმართველობის ეს ფორმა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის პრობლემაა. ოლიგარქი ეს არის მდიდარი ადამიანი, რომელიც აწარმოებს პოლიტიკას და რომლის ნება პოლიტიკაში არის გადამწყვეტი. არიან ქვეყნები, სადაც ოლიგარქები განსაკუთრებით ჩანან თავისი პოლიტიკური ნების გამოხატვის და ინტერესების ლობირების თვალსაზრისით.**

მაგალითისთვის ცნობილია ამერიკის სამხედრო სამრეწველო კორპუსი თავისი მფლობელებით. მათთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჰქონდეთ მუდმივი შეკვეთები, შესაბამისად, ცდილობენ ისეთი ადამიანები მოიყვანონ ამერიკის ხელისუფლების სათავეში, როგორც სენატორები, ასევე უფრო მაღალი ჩინის ადამიანები, რომლებიც მათ ინტერესებს დაიცავენ.

ირიბად ისინი ქმნიან პოლიტიკას აშშ-ში. ასეა ბევრ ქვეყანაში და არიან ოლიგარქები, რომლებიც პირდაპირ ერევიან პოლიტიკაში და მხოლოდ მათი ნება გადამწყვეტი. ასეთი შემთხვევა იყო მოლდოვაში, სადაც პოლიტიკას ქმნიდა ცნობილი ოლოგაქი **პლახატნიკი**, რომელსაც ჰყავდა როგორც ჯიბის პრეზიდენტი, ასევე პარლამენტი და პარტიები.

**როგორც ცნობილია, ევროკომისიამ კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს პირობები წამოუყენა. ჩამონათვალში მე-5 პუნქტად მითითებულია დეოლიგარქიზაცია. „განხორციელდეს „დეოლიგარქიზაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის გზით“,** – წერს ევროკომისია ვალდებულებების ჩამონათვალში.

რას გულისხმობს კონკრეტულად ეს პირობა და რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ ამ პირობების შესასრულებლად, ტრადიციულად ყველამ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით გაიგო. ოპოზიცია, რომელიც ოლიგარქების თავშესაფარი გახდა, ხელისუფლებისგან ითხოვს მმართველობას ჩამოაშორონ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ასევე უნდა შეწყვიტოს „ქართული ოცნების“ დაფინანსება. ბრალდებას არ ღებულობს ხელისუფლება. მთავრობის მეთაურმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც წლიური ანგარიშით წარსდგა, ოპოზიციის რიგებში მყოფი ოლიგარქები დაასახელა: **მამუკა ხაზარაძე, კობა ნაყოფია, დავით კეზერაშვილი.**

იხ. 2 გვ.



# „დეოლიგარქიზაცია“:

## ზურგი ვაქციოთ აქაურ თუ უცხოელ ნაცებს – ჩვენს დამგოიმებლებს!

6

7

## არიფ მონადირეთა „ვარდისფერი სპილოებით“ დაგოიმების ტესტი

# ზალკალიანმა ჯო ბაიდენს რწმუნებათა სიგელები გადასცა



აშშ-ში საქართველოს ელჩმა **დავით ზალკალიანმა** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **ჯო ბაიდენს** რწმუნებათა სიგელები გადასცა.

**„რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიის ფარგლებში შედგა ხანმოკლე შეხვედრა ელჩსა და პრეზიდენტს შორის. დავით ზალკალიანმა პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ და დაუდასტურა, რომ საქართველო აშშ-ის სანდო და ერთგული პარტნიორია რეგიონში. ელჩმა ასევე მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს მისი პირადი მხარდაჭერისთვის საქართველოს დასავლური მისწრაფებების მიმართ და აღნიშნა, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში ძალზედ მნიშვნელოვანია აშშ-ის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.**

**პრეზიდენტმა ბაიდენმა აღნიშნა, რომ მას კარგად ესმის ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები, მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და დასავლურ მისწრაფებებს“,** – წერს დავით ზალკალიანი.

# რა არის საჭირო პუტინის დასამარცხებლად – როგორი იქნება ომის III ეტაპი?



5




10

# ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული

# „ზელენსკის მილიარდნახევარი აქვს ანგარიშზე, პოროშენკო მილიარდერი იყო და რა, ოლიგარქია?“



**სამი ქვეყნის (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) მიმართ არის ასეთი მოთხოვნა, დეოლიგარქიზაციის და თუ ჩვენ დავითვლით რეალური ოლიგარქების რაოდენობას ამ სამ ქვეყანაში, მინდა გითხრათ, რომ საქართველო მგონი, ბოლო ადგილზე იქნება,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, კახა კახიშვილმა „ქრონიკაში“ განაცხადა.

**„რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია და რატომ არის ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი? იმიტომ რომ ფული აქვს და ხელისუფლებაში მოვიდა? იყო პრემიერ-მინისტრი და პარტიის თავმჯდომარე და, რა თქმა უნდა, ჰქონდა გავლენა. ასე, ბატონ ზელენსკის მილიარდნახევარი აქვს ანგარიშზე, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, ბიზნესი ჰქონდა და ახლა პრეზიდენტია. პოროშენკო მილიარდერი იყო სანამ ხელისუფლებაში მოვიდა და რა, ოლიგარქია? არც ერთია ოლიგარქი, არც — მეორე და არც ბიძინა ივანიშვილია ოლიგარქი. მათ აქვთ დეკლარირებული შემოსავლები და დეკლარირებული ფულით მოვიდნენ. მე მიკვირს ადამიანის უფლებათა ე.წ. დამცველების, რომლებიც ერთი მხრივ ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბრობენ და მეორე მხრივ ასე უპრაგონოდ სხვადასხვა იარლიყს აწებებენ ადამიანებს ისე, რომ არც არიან საქმის კურსში.**

**დიახ, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ კანონზე და ასეთი კანონი მოქმედებს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში და შესაბამისად, ჩვენ თუ გვინდა მათი კლუბის წევრობა, ჩვენ უნდა დავიცვათ თამაშის ის წესები, რაც მათთან არის. ისინი აკეთებენ პრევენციას, რომ ქვეყანას, რომელიც შესაძლოა, გახდეს ევროკავშირის წევრი, არ იმართებოდეს ისეთი ჯგუფების მიერ, რომლებიც კორუფციული გზით მდიდრდებიან და შემდგომში გავლენას ახდენენ ხელისუფლებაზე. ძალიან კარგი იქნება, თუ ოპოზიცია მიიღებს ამ კანონპროექტის ფორმირებაში მონაწილეობას“,** — განაცხადა კახი კახიშვილმა.

# მედვედევი მოლდოვას ემუქრება

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დმიტრი მედვედევი მოლდოვას დაემუქრა, განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციებთან კიშინიოვის შეერთების შემთხვევაში კრემლის პასუხი არ დააყოვნებს.



**„ჯერ ევროკავშირში არ არიან და ცდილობენ, ასიამოვონ თავიანთ ახალ ბატონებს, მზად არიან შეუერთდნენ ევროპის სანქციებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. იყოს ასე, დაე, სცადონ. მაშინ დარწმუნებულები იყვნენ 100%-ით, რომ ჩვენგან ვერ მიიღებენ არამხოლოდ „ძვირფას“ ენერგეტიკისა და სხვა რესურსებს, არამედ საერთოდ ვერაფერს. დაე, დატკბნენ სანქციებით, ვიდრე ევროკავშირში მოხვდებიან“,** — განაცხადა მედვედევმა.

# ზურაბ ქადაგიძე: ძალიან სწორი პოზიცია დაიჭირა საქართველომ, რომ არ აჰყვა ემოციებს, უაზრო სანქციებს და მიზანმიმართულად პრაგმატული პოლიტიკა გაატარა

**„ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ,რომ საქართველოს უწევს დანის პირზე სიარული...რუსეთი მოლდოვას პირდაპირ ემუქრება და რაც უკრაინაში ჩაიდინა, იმავეს გაიმეორებს... ვინმე შეუშლის ხელს? ძალიან სწორი პოზიცია დაიჭირა საქართველომ,რომ არ აჰყვა ემოციებს, უაზრო სანქციებს და მიზანმიმართულად პრაგმატული პოლიტიკა გაატარა...მოლდოვამ მიიღო სტატუსი და ოფიციალურად განაცხადა სანქციების დაწესებაზე,რაზეც პირდაპირი მუქარა მიიღო...**



**რაც დრო გავა, უფრო და უფრო დაფასდება ის სამშვიდობო პოლიტიკა,რასაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს“,** — წერს ზურაბ ქადაგიძე.

# ლევან ნიკოლეიშვილი: პრაგმატული პოლიტიკა უფრო სწორია თუ რისკიან-უგუნური, რომელსაც ახალი ომი მოსდევს?..

ექსპერტი რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, დიმიტრი მედვედევის განცხადებას ეხმიანება, რომელიც მოლდოვას ღიად ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ის რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდება.

**„პოლიტიკა რომ დიდი თამაშია, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკა ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. სამწუხარო რეალობა კი ის გახლავთ, რომ ამ დიდი თამაშის უფრო დიდი მოთამაშეები, ხშირად მცირე თუ პატარა აქტორებს (პატარა ქვეყნებს!) შარში ხვევენ. როგორც გინდათ, იფიქრეთ და ამის საფუძველს სწორედ მედვედევის ქვემოთ მოყვანილი განცხადება მაძლევს. ის, რომ პუტინი ამბობს, რომ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებაც კი სულაც არ ადარდებს, ცხადია ჩნდება ეჭვი რის სანაცვლოდ? იმ ტერიტორიების სანაცვლოდ ხომ არა, რომელიც დე ფაქტო უკვე წაღებული აქვს? ხოლო მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სანაცვლოდ შეიძლება რუსეთისთვის სანქციების დაწესება მოუწიოს, ხომ საერთოდ გამაოგნებელი ხდება - რა, რის სანაცვლოდ?! მითუმეტეს, რომ რუსეთი პირდაპირ იმუქრება თუ რისი გაკეთება შეუძლიათ დნესტრისპირეთში! ახლა კი იმის შესახებ, პრაგმატული პოლიტიკა უფრო სწორია თუ რისკიან-უგუნური, რომელსაც ახალი ომი მოსდევს, თქვენ თვითონ განსაჯეთ, მით უმეტეს როდესაც ტერიტორიების 20% ოკუპირებული გაქვს და სასწორზე შენი მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება დევს?!**



**P.S. სანამ ვინმე რუსების მიმართ შიშს დამაბრალებთ, მანამდე გაიხსენეთ, 2008 წლის ომის დროს ვინ რომელი საზღვრიდან ტოვებდა საქართველოს, რუსების ერთი თვითმფრინავის ცაზე გამოჩენისას როგორ ფორთხავდა სააკაშვილი? ისიც გაიხსენეთ. არც ის დაგავიწყდეთ რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანის მოლაპარაკებების დროს რუსი გენერლებისა თუ დიპლომატების წინაშე როგორ ჩასვრილები იყვნენ მავანი.. ჰოდა აი, იმ რუსეთის ბაზების გაყვანაში საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილის მქონეს, მათი უკან ორმაგად შემოსვლა ნამდვილად არ მინდა, დამერწმუნეთ, ამისთვის ბევრსაც გავაკეთებ და ბევრსაც ვამხელ!“,** — წერს ლევან ნიკოლეიშვილი.

# საპროტესტო აქციაზე სამსახურებრივი მანქანით

**„ქრონიკის“ ინფორმაციით, წალენჯიხის მერის თანაშემწე, სამსახურეობრივი ავტომანქანით ავარიაში მოყვა. მერი გიორგი ხარჩილავა მერიის ავტომანქანით, თანაშემწესთან ერთად თბილისში აქციაზე იმყოფებოდა.**

არსებული ინფორმაციით, ავტომანქანას უკან დაბრუნებისას არაუფლებამოსილი პირი მართავდა, რა დროსაც სხვა მანქანას დაეჯახა, შემდეგ ავტომობილი მოცურდა და სხვა სამი ავტომანქანა დააზიანა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერებს სახელმწიფო კომპენსაციას დაუნიშნავენ?..

**ოპოზიციონერი დეპუტატები გიორგი ვაშაძე და პაატა მანჯგალაძე ინიციატივით გამოდიან, 1990 წელს არჩეული ყოფილი უზენაესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებმაც კენჭისყრისას მხარი დაუჭირეს და ხელი მოაწერეს 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, სახელმწიფო კომპენსაცია მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის ნახევრით განესაზღვროთ.**

დეპუტატებმა მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტს უკვე წარუდგინეს. **მათი განმარტებით, დღესდღეობით 1990 წელს არჩეული ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა შეადგენს მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის მესამედს და ამასთანავე არსებობს დათქმა, რომ კომპენსაციის ოდენობა გამონაკლისის გარდა, არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს.**

**იმის გათვალისწინებით, რომ დღეს, პარლამენტის წევრის გასამრჯელო (თუ ის არ არის პარლამენტის თანამდებობის პირი) 4 624 ლარს შეადგენს, ცვლილებებით, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა ყოფილი უზენაესი საბჭოს იმ წევრთათვის, რომელთაც მხარი დაუჭირეს და ხელი მოაწერეს 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, დამატებით გაიზრდება 1 752 ლარით (4624:2)-560=1752). კანონმდებლების ცნობით, ვინც კომპენსაციას მიიღებს ასეთი 165 პირია და ყოველწლიურად მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან — 3 468 960 ლარი იქნება გამოსაყოფი.**

# იაგო ხვიჩია: ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის მოთხოვნა არასერიოზულია!



**პარტია „გირჩის“ წევრი იაგო ხვიჩია არასერიოზულს უწოდებს სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნას, რომელიც პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას და ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას ითვალისწინებს.**

როგორც იაგო ხვიჩია განმარტავს, ამ მოთხოვნების დაყენებით, ხალხის ხშირად შეკრება და დაშლა ადამიანების ნიჰილიზმს იწვევს, ახშობს იმ პროტესტს, რაც სამართლიანად არსებობს ქვეყანაში.

**„ჩემი აზრით, ორივე მოთხოვნა არასერიოზულია. პირველი — ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა არასერიოზულია, თუ შენ გჯერა, რომ ქვეყნის რეალური მმართველი სულ სხვა ვინმეა და ირაკლი ღარიბაშვილი მხოლოდ სხვა ვინმეს წარმოადგენს, წარმომადგენლის სახლში წასვლას რომ ითხოვ, არასერიოზულია. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, ასევე არასერიოზულია. არავინ იცის, საიდან მოდის ლეგიტიმაცია, ვინ არის ეს ხალხი? ვინ არჩევს? ვისი სახელით მოქმედებს ეს ხალხი? რატომ ვენდობით ამ ხალხს? ვინ ნიშნავს ამ ხალხს თანამდებობაზე? „ქართული ოცნების“ პარლამენტი?**

**რა მოთხოვნაა თავისი შინაარსით, როგორ უნდა მოხდეს აღსრულება. ვფიქრობ, ამ აქციის ორგანიზატორები ერთ-ერთი პრობლემაა. ამ მოთხოვნების დაყენებით ხალხის ხშირად შეკრება და დაშლა ეს ადამიანების ნიჰილიზმს იწვევს, ფაქტობრივად ახშობს პროტესტს, რაც სამართლიანად არსებობს ამ ქვეყანაში. ეს ხალხი პარალელურად სხვას აბრალებს „ქართული ოცნების“ სატელიტობას თუ წარმომადგენლობას. ამაზე უფრო დიდი საქმე „ქართული ოცნებისთვის“ რა უნდა იყოს. ჩემი აზრით, ის მოთხოვნა უნდა დაეყენებინათ, რაც ლოგიკური იქნებოდა. რამ შეიძლება განმუხტოს ეს კრიზისი, რაც ქვეყანაში ხდება? ჩემი აზრით, არაფერმა, გარდა არჩევნებისა. ამ არჩევნებს რომ აზრი ჰქონდეს, ამისთვის აუცილებელია საკონსტიტუციო ცვლილებები. არჩევნები არ ჩავატაროთ დღევანდელი მაჟორიტარული სისტემით. უნდა მივიღოთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რითაც ბარიერი ბუნებრივი გახდება, საარჩევნო სისტემა — სრულად პროპორციული. ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს არჩევნები“,** — აღნიშნავს **ხვიჩია.**

გარდა ამისა, მან ჟურნალისტის კითხვას უპასუხა, როგორ შეაფასებს იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის მხარდამჭერ აქციაზე მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მისულ მოქალაქეებს ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. როგორც ხვიჩია განმარტავს: **„მორწმუნეს ხატით სიარულს ვერ დაუშლი. ნებისმიერი აქცია, თუ სხვა რამ, რაც ამას აკეთებს, შეცდომას უშვებს“.**

**„რეპორტიორი“**








# ქვეყნის ბიუჯეტის და ხალხის ჯიბის მღრღნელები!

## ვინ არიან ოპოზიციის დამფინანსებელი ოლიგარქები?

(პირველი გვერდიდან) პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მთავარი ოლიგარქი **მიხეილ სააკაშვილი** თავისი ოჯახით არის ქვეყნის და ხალხის მთავარი პრობლემა.

**„დადასტურებული ასი მილიონის ქონება აქვს გიული ალასანიას. სააკაშვილს აქვს დადასტურებული ასეულობით მილიონი. სააკაშვილი არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მთავარი პრობლემა. ვინ არის დავით კეზერაშვილი? – დღეს კეზერაშვილი არის ნამდვილი ოლიგარქი, რომელიც აფინანსებს სამივე ტელევიზიას „მთავარს“, „ფორმულას“, „ტვ პირველს“, აფინანსებს მათ ხელფასებს და აფინანსებს მოპარული, ნაძარცვი ფულით...**

**აუდიტის დასკვნის დოკუმენტი იქნა გამჟღავნებული 2013 წელს. კეზერაშვილის კომპანიას ერთი მილიარდის ბრუნვა ჰქონდა 2012 წელს. კითხვას გისვამთ ყველას, აქ რომ ხართ და წარმოაჩენთ, თითქოს დიდი ევროპული დემოკრატიის მხარდამჭერები ხართ და მინდა, მივმართო თქვენს ლობისტებს – როგორ ხდება, რომ თავდაცვის მინისტრი მიდის, კაცი, რომელიც მოვიდა არაფრით და გახდა ასეულობით მილიონი დოლარის მფლობელი? კეზერაშვილი არის ოლიგარქი“,** – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ სისტემური კორუფცია მოსპო, მაგრამ გზა გაუხსნა ელიტარულ კორუფციას, კარგად დამუშავებული კორუფციული საქმეების წყალობით, 8 წლის მანძილზე „ნაცმოძრაობის“ ფავორიტი ბიზნესმენები მდიდრდებოდნენ. ერთ-ერთი ასეთია დავით კეზერაშვილი, რომელიც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი იყო და 2008 წელს, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ოფიციალურად ააწყო ბიზნესი. დავით კეზერაშვილი საქართველოში ყველაზე წარმატებული ოლიგარქია. კეზერაშვილი არა მხოლოდ საკუთარი ფინანსებითაა საინტერესო და მიმზიდველი, არამედ მედიარესურსითაც. ტელეკომპანია „ფორმულა“ სწორედ მისი ფინანსებით დაარსდა და დღემდე არსებობს.

Tribune De Geneve-ს თანახმად, 10 დღეში მას შემდეგ, რაც კეზერაშვილმა თანამდებობა 2008 წლის დეკემბერში დატოვა, მისმა ათმა რწმუნებულმა ოფშორულ ზონაში სამი კომპანია დაარეგისტრირა, რომელთაგან ერთ-ერთის ანგარიშზე ნავთობის ბიზნესიდან მიღებული მილიონობით დოლარი ირიცხებოდა. Panama Papers-ის თანახმად, შვეიცარიული ბანკის ანგარიშზე დაახლოებით 21 მლნ აშშ დოლარი ჩაირიცხა, ამასთან, ამავე გზით მოხვდა დაახლოებით 25 მლნ სხვა ანგარიშებზე.

შვეიცარიული გაზეთის თანახმად, მას შემდეგ, რაც 2013 წელს კეზერაშვილის მიმართ კორუფციის ბრალდებით გამოძიება დაიწყო, ამ უკანასკნელის რწმუნებულმა პანამის იურიდიულ კომპანიას დოკუმენტების რეგისტრაციისა და მათი ძველი რიცხვით დათარიღების თხოვნით მიმართა. გაზეთის თანახმად, პროცესის დაწყებამდე კეზერაშვილმა თანხა სხვა ორი ოფშორული კომპანიის ანგარიშებზე გადაიტანა.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკა მელიამ 2017 წელს დავით კეზერაშვილზე თქვა, რომ



მან მილიონები ყაჩაღობით, ქურდობითა და ძარცვით იშოვა. დღეს კი, როგორც მელია ამბობს, კეზერაშვილი „ევროპულ საქართველოს“ აფინანსებს.

ანალიტიკოს **მამუკა არეშიძის** განცხადებით, კეზერაშვილის თემა სათავეს 2005-2006 წლიდან იღებს, როცა საგადასახადოს უფროსი და მერე თავდაცვის მინისტრი გახდა.

**„მახსოვს, კეზერაშვილი ჯერ კიდევ საკრებულოდან, სააკაშვილის თანაშემწე იყო და დასცინოდნენ, რომ არაფერს არ აკეთებს, მთელი დღე ბურთებით თამაშობს კომპიუტერშიო. განსაკუთრებით „გამოიჩინა“ თავი მაშინ, როდესაც ის გახდა თავდაცვის მინისტრი. მთავარი, რაზეც არის ეჭვიტანილი, ეს არის იარაღის უკანონო ვაჭრობა. ჰილარი კლინტონის ჩანაწერებში, რომელიც „ვიკილიკსში“ აღმოჩნდა, პირდაპირ დასახელებულია იმ ადამიანების სახელები, ვინც იარაღის ვაჭრობაშია ჩართული და მათ შორის იყო კეზერაშვილი.**

**რაც შეეხება 2008 წლის ომს, აქ ძალიან ღრმად ჩანს კეზერაშვილის გვარი. მისმა გვარმა გაიჟღერა იმ დასკვნაში, რომელიც მოამზადეს უკრაინის რადის წევრებმა და ვგულისხმობ იარაღის უკანონო ვაჭრობას, არასწორ შეკვეთებს და იმ იარაღის მესამე ქვეყნებში გაყიდვას, რომელიც საქართველოსთვის იყო განსაზღვრული. ასევე, აღმოჩენილია ოფშორული ფირმა, სადაც ხდებოდა ფულის გათეთრება. ძალიან სერიოზული თემები იყო, იგივე იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებით“,** – აცხადებს **მამუკა არეშიძე.**

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, იარაღი, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოსთვის და კერძოდ, საჰაერო თავდაცვის იარაღი, რომელიც იყო მოძველებული და არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებაში ჩაწერილ შინაარსს, ამ შესყიდული იარაღის ნაწილი აღმოჩნდა მესამე ქვეყანაში.

**„ამ იარაღის კვალს მიაგნეს აფრიკის და აზიის ერთ-ერთ ქვეყანაში. ასეთი უკანონო ვაჭრობებით კეზერაშვილი გახდა ძალიან მდიდარი ადამიანი. როგორც ამბობენ, დაახლოებით, 2 მილიარდი დოლარის დაგროვება მოახერხა თავდაცვის მინისტრობის მერე. ძალიან ჩუმად იქნა განთავისუფლებული და მერე გახდა პარტიის ხაზინადარი. რაც შეეხება მის პოლიტიკაში ჩარევას, ის არის ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელი. ასევე, ბევრჯერ გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ის არის ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის დამფინანსებელი. ოპოზიციური პარტიების დაფინანსება ეს ნიშნავს პოლიტიკაში ჩართულობას, რაც ოლიგაქრობის ერთ-ერთი ნიშანია“...**

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, 2022 წელს უკრაინაში რადამ მიიღო დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი, რომელშიც მკაფიოდ წერია, რომ ოლიგარქად ითვლება ადამიანი, რომელიც ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მასმედიის საშუალებებზე.

**„ეს კანონი შეიქმნა დასავლეთის უშუალო კონსულტაციების შედეგად და ჩავთვალოთ, რომ უკრაინაში უკვე მიღებულ კანონში წერია ოლიგარქის განმარტება. მოდით, ამ ფილტრში გავატაროთ საქართველოს მდიდარი ადამიანები და ვნახოთ, ვინ გაიჭედება ამ ფილტრში. გაიჭედება ბიძინა ივანიშვილი, რომელზეც აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ამ წლის თებერვალში ბრძანა, რომ ეს არის გავლენის და ავტორიტეტის მქონე პიროვნება, მეცენატი, ქველმოქმედი, რომელმაც დიდი კონტრიბუცია ჩადო ქვეყნის განათლების განვითარებაში და რომელიც დღეს პოლიტიკიდან წავიდა, ამიტომ მასთან, როგორც პოლიტიკურ პირთან ურთიერთობა აღარ გამაჩნია. ანუ, აშშ-მა გაატარა ივანიშვილი უკრაინაში მიღებულ კანონის ამ ფილტრში და დავინახეთ, რომ ვერც ერთ ამ პუნქტს ვერ მიუსადაგებენ ივანიშვილს.**

**მაგრამ ამ პუნქტში თავისუფლად ჯდებიან სამივე ტელევიზიის დამფინანსებელი დავით კეზერაშვილი და თანადამფინანსებელი მილიონერი ადამიანები, როგორებიც არიან ავთანდილ (ჭუტა) წერეთელი, მამუკა ხაზარაძე, რომლებიც როგორც მინიმუმ, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ ტელევიზიებისა და მასმედიების მუშაობაზე და, რომლებიც ერევიან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. შეიძლება მონოპოლისტი საწარმოს ბენეფიციარ მფლობელებს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სამ პუნქტს თავისუფლად მიესადაგებიან. ამიტომ, დიახ, საქართველოში თურმე გვყოლია ოლიგარქები, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამ კანონმდებლობით მინიჭებულ კლასიკურ განმარტებას არ მიესადაგება“,** – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** თვლის, რომ ამ საკითხს ნაკლებად ემოციურად უნდა მივუდგეთ და ეს საკითხი უნდა იყოს დაცლილი პოლიტიკური კონიუნქტურისგან. მისი თქმით, საქართველოში და უკრაინაშიც დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღებას ძალიან სერიოზული პოლიტიკური კონტექსტი აქვს. უკრაინაში ოლიგარქად განისაზღვრება ადამიანი, რომელსაც აქვს 100 მილიონი დოლარის ქონება, რომლითაც ის აფინანსებს ტელევიზიებს, პოლიტიკურ ძალებს, ან ქმნის გარკვეულ მონოპოლიებს, რომლითაც იძენს ქვეყანაში გავლენის ბერკეტებს.

**„მოდით, ასეთი კითხვა დავსვათ, არის თუ არა კახა ოქრიაშვილი ოლიგარქი? რომელიც არის მულტიმილიონერი, რომელსაც სამ სხვა კომპანიასთან ერთად მონოპოლია აქვს დაწესებული ფარმაცევტულ ბაზარზე? ასევე, მას აქვს საკუთარი პარტია, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში, ის აფინანსებს ამ პოლიტიკურ ძალას, მას ფაქტობრივად ნაყიდი აქვს დმანისის რეგიონი, სადაც მას აქვს გავლენები ძირითადად ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი ოლიგარქის. ადამიანი აქტიურად ჩართულია პოლიტიკაში.**

**ასევე, რაღაც პარამეტრები შეიძლება მივუყენოთ ხაზარაძე-ჯაფარიძეს, რომლებიც ასევე არიან მულტიმილიონერები, აქვთ პოლიტიკური პარტია, რომლებიც შესაძლოა, აფინანსებდნენ კონკრეტულ მედიასაშუალებას, ამას, რა თქმა უნდა, დადასტურება და გამოკვლევა სჭირდება. იგივე კობა ნაყოფია, რომელიც ასევე არის მულტიმილიონერი, რომელიც არის პოლიტიკური პარტიის ლიდერი.**

**კეზერაშვილი, რომელიც არის ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელი. მერე რა, რომ საქართველოში არ ცხოვრობს, მას აქვს საქართველოში სხვა ბიზნესები და პირდაპირ განაცხადა, რომ ოფიციალურად შემოდის პოლიტიკაში, რომ დაამხოს ხელისუფლება და ამიტომაც შექმნა ეს ტელევიზიები. სწორედ ეს არის ოლიგარქის ერთ-ერთი ნიშან-თვისება“,** – ამბობს ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, არაა გამორიცხული, რომ კეზერაშვილი აფინანსებდეს პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიზირებულ ჯგუფებს, რომლებსაც გააჩნიათ პოლიტიკური დღის წესრიგი. მათ შორის „სირცხვილიას“ და რადიკალურ ჯგუფებს...

**თამთა ქარჩავა**



# „ხელისუფლებამ საკონსტიტუციო ცვლილებებით უნდა დაიწყოს“...

**რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთი აქცია გაიმართა, სახელწოდებით „შინ, ევროპისკენ“, სადაც მოძრაობა „სირცხვილიამ“ ერთგვარი სამოქალაქო მოძრაობის გეგმა წარადგინა, ევროპულ გზაზე თუ რა უნდა გაკეთდეს ახლო მომავალში. მოსალოდნელია, რომ ამ აქციებმა უწყვეტი ხასიათი მიიღოს. გაჩნდა მოსაზრება, რომ 20 ივნისის აქცია რეპეტიცია იყო ხელისუფლების დამხობის გეგმის აღსასრულებლად და კონკრეტულ ოპოზიციურ პარტიებს არა საქართველოს ევროპული მომავალი, არამედ ხელისუფლებაში მოსვლა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურთ.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განმარტებით, „დაიწყეს აქციები მთავრობის გადადგომის, დამხობის და რევოლუციის მოთხოვნით, ეს სასაცილოა, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით მათი გეგმების, სურვილების და ოცნებების თაობაზე, რომელიც ისევე ჩაფლავდება, როგორც სხვა დანარჩენი“.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ისინი მზად არიან ოპოზიციასთან თამაშის გარკვეულ წესზე შეთანხმდნენ. ირაკლი ღარიბაშვილი ოპოზიციას ახსენებს, რომ „პირველი პირობა მათი შესასრულებელია“.

**„ჩვენ გვინდა განვაცხადოთ საჯაროდ, რომ გვაქვს მზაობა, ყოველთვის გვქონდა მზაობა, რომ თამაშის გარკვეულ წესებზე, იმ რაღაც მინიმალურ სტანდარტზე შევთანხმდეთ ჩვენს ოპოზიციასთან, როგორიც არ უნდა იყოს ის, მოგვწონს თუ არ მოგვწონს. თუ ეს წესები არ შეთანხმდა, თუ მათი ეს პოლიტიკა მხოლოდ მიზანმიმართული იქნება იმაზე, როგორ არიონ ქვეყანა, როგორ დაანგრიონ, როგორ გამოიწვიონ დესტაბილიზაცია ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ჩვენ ამისთვის მზად ვართ, მათ შორის, მზად ვართ, დიახაც, მათ მიერ მართულ და კონტროლირებად ტელევიზიებშიც ვიაროთ, მოგცეთ ინტერვიუები, გაიმართოს რეალური დებატები, რეალური, საქმიანი, შინაარსიანი და არა შეურაცხყოფა, ლანძღვაგინება და ჩხუბი...“**

ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევენ, რომ ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები საქართველოსთვის, საჭიროებს სისრულეში მოყვანას და ყველამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ „ქართულ ოცნებას“ ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგოს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი ამ აქციებზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნამ გაიჟღერა, ოპოზიცია ისევე ჩაფლავდება ამ პროცესში, როგორც აქამდე გვინახავს.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ ოპოზიციური სპექტრის მხრიდან, პერმანენტული აქციების წარმოწყება არასწორი ნაბიჯი იქნება. მისი თქმით, მნიშვნელოვანია იმ პუნქტების შესრულებისკენ უბიძგოს ოპოზიციამ ხელისუფლებას, რაც ევროკომისიის რეკომენდაციაშია აღნიშნული. როგორც ძაბირაძემ აღნიშნა, აქციაზე ტრიბუნიდან პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შედეგად, იმ მოქალაქეებმა, ვინც ევროპული მომავლის რეალური მოთხოვნით დგას რუსთაველის გამზირზე, ქუჩიდან შესაძლოა, კვლავ სახლში გადაინაცვლონ.

**„მოთხოვნების შესრულებას აქციები ხელს არ უშლის. დღეს პრემიერი რასაც ლაპარაკობდა — შერიგება — ეს პრობლემა არ არის დღეს, სხვა მხრიდან უნდა დაიწყოს, არ არის აუცილებელი რიგითობით შესრულდეს ის 12 მოთხოვნა, რა რიგითობითაც არის ჩამოწერილი. საკმაოდ დიდი უნდობლობაა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ეს ერთ-ორ დღეში, რა თქმა უნდა, ვერ მოგვარდება. ხელისუფლებამ ოპოზიციას და ქართველ საზოგადოებას უნდა დაუმტკიცოს, რომ მას სერიოზულად უნდა ამ პრობლემების მოგვარება და ამის უნარი აქვს. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაზე სწრაფად მოგვარებადი პრობლემით უნდა დაიწყოს, ეს არის საკონსტიტუციო ცვლილებები, ამის შემდეგ დანარჩენი გაგრძელდეს. პრემიერის გამოსვლა და საერთოდ პარლამენტის სხდომა, სადაც მან ანგარიში წარადგინა, იყო კატასტროფა. აქ მხოლოდ ხელისუფლებას არ ვგულისხმობ, არამედ ოპოზიციასაც. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, პოლარიზაციის რა დონე არის ქვეყანაში.**

**თუ ოპოზიცია პროცესს სწორად წაიყვანს, მაშინ ხელისუფლება იძულებული იქნება, რაღაც ნაბიჯები გადადგას. თუ არ გადადგამს, მაშინ ეს უნდა იყოს გამოყენებული, მაგრამ თუ ახლავე დაიწყებენ პერმანენტულ პროტესტს, მაშინ შეიძლება საერთოდ ვერაფერს მიაღწიონ. ოპოზიციამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს.**

**ოპოზიციამ ხელისუფლებისგან უნდა მოითხოვოს გრაფიკი, გეგმა, როდის რას და როგორ აკეთებს, აკონტროლოს ამ გეგმის შესრულება და ეს უნდა უთხრას იმ ხალხსაც, ვინც ქუჩაში გამოვა. მაშინ ეს გეგმა იქნება შესრულებადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იქნება რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა, ის მუხტი, რაც გაჩნდა, ნელნელა შემოეცლება ოპოზიციას.**

**ოპოზიციამ უნდა იმუშაოს, მაგრამ იმუშაოს მიზანმიმართულად, ყოველ პუქტთან დაკავშირებით ხელისუფლებაზე უნდა იყოს ზეწოლა. ხელისუფლებას არ უნდა მისცეს იმის საბაბი, რომ მან დაიწყოს ისეთივე მანევრირება, რაც შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით მოახდინა“,** — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

**ნიკო ჩოხელი**

# „ევროპული ცარცის წრე“

**ამ ბოლო ხანს ჩამოყალიბებული ევროპული ცარცის წრე განუსაზღვრელად უფრო დიდი და ბევრისმომცველია, ვიდრე კავკასიური ცარცის წრე.**

ევროპული ცარცის წრის შუაგულში არის არა ერთი მცირეწლოვანი ბავშვი, არამედ სახელმწიფო — უკრაინა!

მიწა-წყლით ევროპის უდიდეს სახელმწიფოს უკრაინას ერთ მხარეს ექაჩება ევროპა და აშშ, ხოლო მეორე მხარეს უზარმაზარი რუსეთი და არ არის თუნდაც ერთი მოქალაქე არც ევროპა-აშშ-ის მხრიდან, არც რუსეთის მხრიდან, რომელიც დაიყვირებს — **ხომ არ გავგლიჯავთ ამ ქვეყანასო!**

თუმცა, ასეთი შეძახილი უკვე დაგვიანებულიც არის!

კავკასიური ცარცის წრეში მოთხრობილი ამბის პარალელურად ძველად არსებობდა ლეგენდა. ლეგენდის მიხედვით ერთი დედა და მეორე ცრუ დედა ბრძენთან მივიდნენ სადავო ბავშვის შვილად მიკუთვნებასთან დაკავშირებით. ხან მომტირალ, ხან განრისხებულ მანდილოსნებს ბრძენმა მოუსმინა, შემდეგ მეორე ოთახიდან ხმალი გამოიტანა და მანდილოსნებს განუცხადა: — მე თქვენი მტკიცებებიდან გამომდინარე სხვა გზა ვერ გამოვნახე გარდა ერთისა, ეს ბავშვი შუაში უნდა გავჭრა, ნახევარი ერთს მოგეცემათ, ნახევარი მეორეს“. ცრუ დედამ, რა გაეწყობა თუ სხვა გზა არ არის, გაჭერითო. მშობელმა დედამ იკივლა — ოღონდ ნუ გაჭრით, მას მიაკუთვნეთ ბავშვიო. ბრძენმა ბავშვი მშობელ დედას მიაკუთვნა.

დღეს არც ასეთი ბრძენი ადამიანი ჩანს ევროპული ცარცის წრეში ჩართულ სახელმწიფოებში, რომელიც უკრაინაში დატრიალებულ ტრაგედიას ნებისმიერი ფორმით შეაჩერებდა. და იბომბება უკრაინა ჰაერიდან, ხმელეთიდან, ზღვიდან; იხოცებიან ბავშვები, ზრდასრულები, უკრაინის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

ყოფნა-არყოფნის პრობლემა შეიძლება სხვა ქვეყნებსაც აწუხებდეს, თუ „ცივილიზებული სამყარო“ დაუშვებს ზოგიერთი „ევროპარლამენტარის“ მოწოდებას, რომ უკრაინას შეიარაღებასთან ერთად უნდა მიეცეს ატომური ქობინები. კომისიამ უკრაინას მიანიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკრაინა იბრძვის, მოქალაქეთა სიცოცხლეს სწირავს ჩვენი ფასეულობებისათვის, ამიტომ ის იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსსო.

აი ასე: თუ გინდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, უნდა იბრძოლო, მოქალაქეები მსხვერპლად უნდა შესწირო, 20 ივნისის ხალხმრავალ მიტინგზე კი, როგორც გამოიკვეთა, ჩვენს მოქალაქეებს ევროპული ფასეულობები უნდა ბრძოლისა და მსხვერპლშეწირვის გარეშე (?). თუმცაღა, უკრაინის ომს ქართველებიც ბლომად ეწირებიან...

თუ ბატონი რობერტ სტურუა დაინტერესდება ევროპული ცარცის წრით ... მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ამდენ რიჩარდს ერთ სპექტაკლში — კავკასიური ცარცის წრეში როგორ გააერთიანებს? ან სად იპოვის ახალ აზდაკს? ჩვენი აზრით, ევროპული ცარცის წრე არანაირ დადგმას ან სერიალს არ ექვემდებარება.

**ნუგზარ კობახიძე.**



# ალექსანდრე რაქვიაშვილი: „სახალხო მთავრობის“ მოთხოვნა სრულიად ალოგიკურია

**„სახალხო მთავრობის“ მოთხოვნა სრულიად ალოგიკურია და ევროინტეგრაციაში ვერ დაგვეხმარება. თუმცა, შეიძლება, რომ ეს მოთხოვნა მთლად გაუაზრებლადაც არ იყო მოგონილი, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ევროინტეგრაცია არავის აინტერესებს და რომ ის მხოლოდ საბაბია, რათა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. როგორც ყოველთვის, „ხალხის სახელით“,** — ამის შესახებ "გირჩის" დეპუტატი **ალექსანდრე რაქვიაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა კანონპროექტი შემოიტანა, რომლის თანახმად ტელევიზიები მოგების გადასახადიდან თავისუფლდებოდნენ. მიზეზად — მათი მძიმე ფინანსური მდგომარეობა იყო დასახელებული. ამაზე ბუნებრივი კითხვა გამიჩნდა: როგორ დაეხმარება მოგების გადასახადის გაუქმება კომპანიას, რომელიც ზარალზე მუშაობს და ამ გადასახადს ისედაც არ იხდის? თუკი კომპანიას მოგება აქვს — მძიმე ფინანსური მდგომარეობა რით დასტურდება? მაშინ დეპუტატმა, როგორც ეს ოცნების დეპუტატებს ჩვევიათ, მისთვის არასასიამოვნო კითხვაზე პასუხი უბრალოდ არ გამცა. ეს კანონპროექტი კი იმის კარგი მაგალითი იყო, რომ ზოგჯერ პოლიტიკოსები ისე იღებენ გადაწყვეტილებას, რომ დროს ფიქრსა და არგუმენტებზე არ ხარჯავენ.

მსგავსი შთაბეჭდილება გამიჩნდა, როცა მთავრობის გადაყენების და „სახალხო მთავრობის“ დანიშვნის მოთხოვნა მოვისმინე. აქციის ორგანიზატორებს ცოტა მაინც რომ ეფიქრათ, ამ უაზრო მოთხოვნას არ დააყენებდნენ.

პირველ რიგში, ევროკავშირის მოთხოვნები პარლამენტის შესასრულებელია, რადგან კანონებს პარლამენტი და არა მთავრობა იღებს. მთავრობას კი თავისი უფლებამოსილებები გააჩნია. თუნდაც ერთი პოზიცია რომ ავიღოთ — ფინანსთა მინისტრი, რომელიც ბიუჯეტის შედგენასა და შესრულებაზეა პასუხისმგებელი. მისი ფუნქციები ევროინტეგრაციის კუთხით უმნიშვნელოა, თუმცა ყველა სხვა კუთხით, პოზიცია, რომლიდანაც 19 მილიარდს განკარგავ, ძალიან მნიშვნელოვანია. გამოდის, ამ მოთხოვნას, ამ ნაწილში ნებისმიერი მოტივაცია შეიძლება ქონდეს, გარდა ევროინტეგრაციისა. იგივე შეიძლება ითქვას, განათლების, კულტურის, ეკონომიკის და სხვა სამინისტროებზე. ევროინტეგრაციის ნაწილში ასე თუ ისე გასაგები შეიძლება იყოს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავება.

ცალკე პრობლემაა „ხალხის მთავრობის“ ფუნქციონირება იმ პირობებში, როცა პარლამენტში უმრავლესობა ოცნებას აქვს. რომც ეს პირობა შესრულებულად წარმოვიდგინოთ, ალბათ, პირველივე კვირას მთავრობის და უმრავლესობის ურთიერთობა პოლიტიკურ კრიზისში გარდაიქმნება (თუ, რა თქმა უნდა, მთავრობა უმრავლესობის ნების აღსრულებას არ გააგრძელებს, მაგრამ მაშინ ასეთ ცვლილებას აზრი ეკარგება).

**ამრიგად, „სახალხო მთავრობის“ მოთხოვნა სრულიად ალოგიკურია და ევროინტეგრაციაში ვერ დაგვეხმარება. თუმცა, შეიძლება, რომ ეს მოთხოვნა მთლად გაუაზრებლადაც არ იყო მოგონილი, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ევროინტეგრაცია არავის აინტერესებს და რომ ის მხოლოდ საბაბია, რათა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. როგორც ყოველთვის, „ხალხის სახელით“.**

**„რეპორტიორი“**

**რუსეთ-უკრაინის ომის ოთხი თვის თავზე, პოლიტიკის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროს ანალიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ომის II ეტაპის დასრულებისა და მორიგი, III ეტაპის დადგომის, მისი სავარაუდო ხასიათის შესახებ. ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში (CSIS) გამართულმა მრგვალმა მაგიდამაც სწორედ რუსეთ-უკრაინის ომის შესაძლო სცენარები განიხილა, თუმცა, ვიდრე ომის III ეტაპის კონტურები გამოკვეთეს, სპეციალისტებმა განმარტეს, თუ რას მიიჩნევენ I და II ეტაპებად.**

## რა არის საჭირო პუტინის დასამარცხებლად - როგორი იქნება ომის III ეტაპი?



# ბრძოლა ქანცის გაწყვეტამდე!

● **რუსეთ-უკრაინის ომის I ეტაპად** მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან (2022 წ. 24 თებერვალი) პირველი თვე-ნახევარი, როცა რუსეთი ცდილობდა ბლიცკრიგის განხორციელებას და თავისი სატანკო და მექანიზებული დანაყოფებით უკრაინის ტერიტორიაზე ღრმად შეჭრას კიევის, ხარკოვის, ხერსონის, ნიკოლაევის, ზაპოროჟიესა და ოდესის ელვისებურად დაკავების მიზნით. ამ ეტაპზე რუსეთის მიერ გამოცხადებული ომის პოლიტიკური მიზნები სრულად შეესაბამებოდა სამხედრო მიზნებს: უკრაინაში ძალაუფლების სწრაფად პარალიზება და უკრაინის ხელისუფლების მარიონეტულით შეცვლა, უკრაინის სუვერენიტეტის გაუქმება და სატელიტად გადაქცევა, ასევე, ნატოს გახლეჩა და „ახალი წესრიგის" დამყარება ევროპაში. ხერსონის აღების გარდა, ომის პირველი ეტაპი, რუსეთისთვის სრული ფიასკოთი დასრულდა.

● **რუსეთ-უკრაინის ომის II ეტაპად** მიიჩნევა დროის მონაკვეთი დაწყებული 2022 წლის აპრილის პირველი ნახევრიდან ანუ, დაახლოებით ომის 35-ე-45-ე დღიდან. ომის მეორე ეტაპი, რომელიც უკვე ორი თვეა გრძელდება, რადიკალურად განსხვავდება პირველისგან, პირველ რიგში, სტაბილური და საკმაოდ მკაფიო ფრონტის ხაზის არსებობით. სახეზეა კლასიკური პოზიციური ომი, რომელიც ხასიათდება ფრონტის ხაზის ნელი და შრომატევადი ცვლილებებით.

● სამხედრო თვალსაზრისით, ომის მეორე ეტაპზე, შეიცვალა რუსეთის მიზნები. რუსეთის არმია გადავიდა დისტანციური ცეცხლით მტრის განადგურების ტაქტიკაზე. არტილერიაში რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებით (მათ შორის, ჰაუბიცისა და რაკეტის ჩათვლით. ხშირ შემთხვევაში ეს უპირატესობა 1:10-ზეა), რუსული არმია მასობრივად ბომბავს უკრაინის პოზიციებსა და სამოქალაქო ობიექტებს, რითაც ცდილობს მას უკან დახევა აიძულოს. გაცნობიერებული აქვთ რა თავიანთი პრობლემები ურბანულ გარემოში ბრძოლების წარმართვასთან დაკავშირებით, რუსები აღარ გადადიან იერიშზე, ვიდრე არტილერია მთლიანად არ გაანადგურებს სამიზნე ობიექტებს.

● მიუხედავად იმისა, რომ ომის II ეტაპზე რუსეთის სამხედრო ამოცანები გევრად უფრო მოკრძალებულია, ვიდრე I ეტაპზე იყო, ვლადიმირ პუტინის პოლიტიკური მიზნები მაინც არ შეცვლილა და ისინი კვლავინდებურად მაქსიმალისტურია. ასე ფიქრობს ელიოტ კოენი, ვაშინგტონში მდებარე სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) დირექტორის მოადგილე, რომლის თქმითაც, პუტინმა ომის II ეტაპზე უფრო მკაფიოდაც კი გამოკვეთა საკუთარი პოზიცია, შეადარა რა თავი პეტრე დიდს:

● „პუტინს სურს აღადგინოს რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირიც კი არა, თუმცა რუსეთის სამხედრო მიზნები აღარ ემთხვევა პოლიტიკურ მიზნებს: რუსი სამხედროები უკუგდებული არიან".

აშკარაა, რომ კრემლს ჯერ კიდევ სჯერა, რომ დასავლეთი მალე დაიშლება, რომ ერთიანობა, რომელიც დასავლეთმა ომის მსვლელობისას აჩვენა, დიდხანს არ გაგრძელდება. ვლადიმირ პუტინის ამგვარი ღია პოზიციის გათვალისწინებით, დასავლელი ანალიტიკოსები კანონზომიერად სვამენ კითხვას: როგორი იქნება რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომი, III ეტაპი?

● **ომის III ეტაპი**

რუსეთ-უკრაინის ომის III ეტაპის ფორმასა და შინაარსს დიდწილად განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკა. სამხედრო საქმის ანბანის მიხედვით, წარმატებული შეტევისთვის აუცილებელია მტერზე, სულ ცოტა, სამჯერ აღმატებული ლოკალური უპირატესობის შექმნა. უკრაინის არმიას დღეს ამგვარი უპირატესობა არ აქვს. ამიტომ, როგორც სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ფრონტზე შექმნილი ვითარება ახლოსაა სტაგნაციასთან.

**„მივეცით უკრაინას ყველაფერი, რაც შეგვეძლო?** – კითხულობს CSIS-ის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის დირექტორი, სეთ ჯონსი, – **არა, ჩვენ ვერ მივაწოდეთ საკმარისი იარაღი, რათა უკრაინამ შეძლოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება იმ პირობებში, როცა რუსული ჯარი უკვე მყარად ჩაჯდა დაკავებულ პოზიციებზე".**

სეთ ჯონსის თქმით, ლაპარაკი იმაზე, რომ უკრაინისთვის შეიარაღების ახალი პარტიების მიწოდებამ შეიძლება ესკალაცია გამოიწვიოს, „კონტრპროდუქტიულია": რუსული პროპაგანდა სიამოვნებით აიტაცებს ნებისმიერ ყოყმანს და „ათჯერ უფრო გააძლიერებს და გაავრცელებს მას".

**„დასავლეთს სჭირდება ერთგვარი ინდუსტრიული მობილიზაცია, – ამბობს მაიკლ ვიკერსი, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი მოადგილე დაზვერვის საკითხებში და CIA-ის გასამხედროებული ოპერაციების განყოფილების ოფიცერი, – ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, შევამციროთ იარაღის ჩვენი მარაგები და მივცეთ უკრაინას იმდენი, რამდენიც სჭირდება".**

ამერიკელი სპეციალისტი ამბობს, ჯარის მარაგებში ინახება მოძველების ზღვარზე მყოფი სისტემები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს უკრაინას, ხოლო მათი ადგილი შეავსოს ახალმა შეიარაღებამ ისე, რომ აშშ-ის უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ არ დადგეს.

უკრაინისთვის ამ სისტემების არმიწოდებას იმ საბაბით, რომ უკრაინას რუსეთის ტერიტორიაზე იერიშის მიტანის საშუალება მიეცემა, ექსპერტები წმინდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უწოდებენ. ფაქტობრივად, ეს გადაწყვეტილება ომს გაახანგრძლივებს.

**„გახანგრძლივებისას კი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ნაწილი აუცილებლად გადავა სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე,** – ამბობს ემილი ჰარდინგი, CSIS-ის დირექტორის მოადგილე და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის უფროსი თანამშრომელი, სენატის დაზვერვის კომიტეტისა და CIA-ის ყოფილი ანალიტიკოსი:

**„ნავთობისა და გაზის ფასები მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია: შეძლებს ევროპა გაუძლოს ამ ტენდენციას და სამუდამოდ თქვას უარი რუსულ ნავთობსა და გაზზე? შევძლებთ თურქეთის მოკავშირედ შენარჩუნებას და, ამავდროულად ალიანსში შვედეთისა და ფინეთის მიღებას? დიახ, რუსეთის ეკონომიკა დაახლოებით 10-15%-ით შემცირდება წელსვე, მაგრამ რუსებისთვის ეს იმაზე ბევრად უფრო მტკივნეული არ იქნება, რაც, ვთქვათ, 2008 წლის კრიზისის დროს იყო. მეორე მხრივ, უკრაინის ეკონომიკა, სავარაუდოდ, 40-45%-ს დაკარგავს, რაც სრული კატასტროფაა. რომ გადარჩეს, უკრაინას დასავლური დახმარების მასობრივი და მასშტაბური შედინება დასჭირდება. უკანასკნელი შეფასებით, აღსადგენად უკრაინას უკვე სჭირდება 200 მლრდ-დან 500 მლრდ დოლარამდე".**

**„ასე რომ, რუსები ფაქტობრივად აორმაგებენ ფსონს – ასკვნის ემილი ჰარდინგი, – უკრაინელებისთვის ეს არის ეგზისტენციური ბრძოლა, რომლის გასაგრძელებლად მათ დასჭირდებათ დასავლეთის შეუზღუდავი მხარდაჭერა. მსოფლიოს მოუწევს გაზისა და ნავთობის მაღალ ფასებთან შეგუება. ეს კი სრულებით არ არის ის, რაც საშუალო ამერიკელს მოსწონს".**

### გამარჯვება – უკრაინას და დასავლეთს სხვა არჩევანი არ აქვთ!

**„უკრაინის პოლიტიკური მიზნები ომის დაწყების შემდეგ დიდად არ შეცვლილა, – ამბობს მაიკლ ვიკერსი, – ეს მიზნებია: დაიბრუნონ თავიანთი ტერიტორიის ყოველი სანტიმეტრი, რომელიც დაკარგეს 2014 და 2022 წლებში". ამიტომ, იმისათვის, რომ დავთანხმდეთ პუტინის პირობებს და უკრაინის ტერიტორიის 20%-ზე მეტის შეუქცევად დაკარგვას, „ამას დასჭირდება უკრაინის სხვა მთავრობა და სხვა უკრაინელი ხალხი, ამიტომ, ვფიქრობ, ომის დასრულების ასეთი გზა თავიდან უნდა ამოვიგდოთ",** – აღნიშნავს ვიკერსი. **„თეორიულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც მომენტში უკრაინელები უბრალოდ დაიღლებიან ომით და ცეცხლის შეწყვეტის დაჟინებული მოთხოვნით: ვერასოდეს გამორიცხავთ იმის ალბათობას, რომ ვიღაც გატყდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს დარეგულირებას, რადგან არ არსებობს არანაირი კომპრომისი უკრაინის სუვერენიტეტის დათმობასთან დაკავშირებით".**

**„არ მგონია, რომ რუსული საფრთხე გაქრება მანამ, ვიდრე რუსეთში რეჟიმი არ შეიცვლება, სანამ პუტინი არ წავა,** – ამბობს მაიკლ ვიკერსი, – **სანამ არ მოვა სხვა ხელმძღვანელობა, რომელიც მზად იქნება შეეგუოს დამოუკიდებელი უკრაინის არსებობას. რომ შეიძლებოდეს ორიოდე ათეული წლით უკან დაბრუნება, მაშინ ჩვენ, ალბათ, ყველაფერს გავაკეთებდით იმისთვის, რომ რუსეთისთვის არ მიგვეცა საშუალება ქცეულიყო იმგვარ ქვეყნად, რომელიც მზად არის ამგვარი აგრესია განახორციელოს. ეს არ არის რაღაც აბსტრაქტული პრობლემა: ეს არის გლობალური მნიშვნელობის საკითხი. ჩვენს ინტერესებშია, რუსეთმა დღეს მართლაც განიცადოს გამანადგურებელი მარცხი უკრაინისგან. როგორც აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა მართებულად თქვა, ჩვენი მიზანია უკრაინის გამარჯვება და რუსეთის სამხედრო ძალის იმგვარი დასუსტება, რომ მომავალში ასეთი ომების გაჩაღება ვერ შეძლოს. იმედი მაქვს, რომ აშშ-ისა და დასავლეთის ეს მიზანი არ შეიცვლება",** – ასკვნის მაიკლ ვიკერსი.

პუტინის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკოსი, ყოფილი ბიზნესმენი და პოლიტპატიმარი მიხაილ ხოდორკოვსკიც მოუწოდებს დასავლეთის ლიდერებს, არ მოდუნდნენ ომის გაჭიანურების შემთხვევაში და არ მოეჭიდონ ცრუ იმედს, თითქოს შესაძლებელია ვლადიმირ პუტინთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოება.

**„ევროპის უმსხვილესი ქვეყნების ლიდერებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ შესაძლებელია პუტინთან რამეზე შეთანხმება, მისთვის ძალის დემონსტრირების გარეშე; რომ შესაძლებელია მასთან საუბარი, პუტინის აზრით, სუსტ პოზიციაში ყოფნისას. ეს არის დრამატული შეცდომა, რადგან ისინი ელაპარაკებიან არა მათნაირ ქვეყნის ლიდერს, არამედ ბანდიტს. ბანდიტი კი, ვითარებაში, როცა თავს ძლიერად მიიჩნევს, შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის თხოვნის პასუხად, რეალურად თავისი მსხვერპლის გასრესას ცდილობს".**

მიხაილ ხოდორკოვსკის თქმით, სამაგალითო და მისასალმებელია ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის, ჟოზეპ ბორელის პოზიცია.

**„ბატონმა ბორელმა გამაოცა. ის ევროპელი ჩინოვნიკია და მისგან სიხისტეს არ ველოდი, მაგრამ მან ძალიან სწორი სიტყვები თქვა: ეს საკითხი მოლაპარაკების მაგიდაზე კი არა, ბრძოლის ველზე გადაწყდება. გასაგებია, რომ საბოლოოდ ომი მოლაპარაკებებით დასრულდება, მაგრამ საკითხი მანამდე უნდა გადაწყდეს, ბრძოლის ველზე და ამის ალტერნატივა არ არსებობს",** – განაცხადა მიხაილ ხოდორკოვსკიმ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ნატოს შეუძლია დაეხმაროს უკრაინას რუსეთთან ომის მოგებაში, თუ ყველა საჭირო იარაღს მიაწვდის.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

**საფუძვლიანად მიიჩნევა, რომ ევროკავშირი ელიტარული კლუბია. ასეთ კლუბში ყველას არ იღებენ. ეგ კი არა, ჩვენც ყველას არ ვიღებთ ჩვენს კლუბში. რომ მიგიღონ, გარკვეული პროცედურის გავლა, სათამაშო კლუბებისთვისაც კი აუცილებელია. ზოგჯერ ეს პროცედურა სახალისოც არის, ზოგჯერ – არც თუ ისე.**

**სახალისო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თუნდაც კარგადაც ცნობილი – „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“. ანეკდოტურ თვალსაჩინოებად მოვიყვანთ „ვარდისფერ სპილოზე ნადირობის“ ტესტს, რითაც კლუბის წევრობის მოსურნე არიფებში ბევრსაც, დიდ უმრავლესობას – უბრალოდ აგოიმებენ (ძალიან სერიოზულებმა და სოლიდურებმა შეგიძლიათ წაიკითხოთ – „გააუცხოებენ“) ხოლმე:**




# „დეოლიგარქიზაცია“:

# არიფ მონადირეთა „ვარდისფერი სპილოებით“ დაგოიმების ტესტი

„მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ ვინმე გამოცდილი სპიკერი წევრობის კანდიდატ ვინმე არიფს ეკითხება: „აბა, შე საზრიანო, თუ იცი, როგორ უნდა მოკლა ყვითელი სპილო?“ თუ არიფი მართლაც „მხიარული და საზრიანი“ არ არის (ასეთი კი დიდი იშვიათობაა), პასუხად უკბილო ხუმრობებს შეთხზავს, იჯახირებს, ეგება „ყვითელი სპილოს“ ფენომენი საზრიანად განჭვრიტოს, როგორმე მხიარულ სიუჟეტად გააცოცხლოს და თვალსახეიროდ წარმოადგინოს; სპიკერი ცოტა ხანს ამ წვალებას აცდის, მერე აწყვეტინებს და ვითომ კეთილგანწყობილი, მაგრამ დამრიგებლური ტონით უყვება: „გეთაყვა, ყვითელი სპილო რომ მოკლა, პირველ რიგში უნდა წახვიდე მონადირეთა მაღაზიაში და შეიძინო თოფი ყვითელი სპილოსათვის“; ხოლო შემდეგ, სპიკერი აგრძელებს სახალისო ისტორიით – როგორ უნდა გაეკიდო ჩვეულებრივ დიდ სპილოს, სდიო ჯუნგლებში, სავანაში და სდიო მანამ, სანამ ის სადმე ჭაობის ყვითელ შლამში არ ჩაეფლობა. და როცა კისრამდე ჩაფლული ამ შლამით გვარიანად გაყვითლდება, დრო იხელთო, დინჯად, რადგან ვეღარსად გაგექცევა, გადმოიღო ყვითელ სპილოზე სანადირო თოფი, კარგად დაუმიზნო და დიდ შუბლს არ ააცილო! თხრობას სპიკერი ამ სიტყვებით ასრულებს: „ახლა ხომ გასაგებია, როგორ უნდა მოკლა ყვითელი სპილო?“ არიფი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად და სახეზე უთუოდ ნიშანდობლივი ყეყეჩური ღიმილი გამოესახება. სწორედ ეს, მოწიწების ღიმილი გახლავთ არიფის დაგოიმების პირველი სტადიის გავლის უტყუარი საბუთი. ეს აჩვენებს, რომ არიფი „საკმარის კონდიციამდე მომწიფდა“, თავის დაცვის არანაირი უნარი აღარ აქვს და უკვე მზადაა მთავარი დასაგოიმებელი დარტყმაც უდრტვინველად მიიღოს. ეს გამანადგურებელი დარტყმა კი სპიკერის მეორე შეკითხვაა: „აბა, გეთაყვა, რადგან უკვე იცი, როგორ მოკლა ყვითელი სპილო, ახლა კარგად დაფიქრდი და მითხარი, როგორ მოკლავ ვარდისფერ სპილოს?“ არიფიც, ისე, რომ ყეყეჩური მოწიწების ღიმილი კიდევ უფრო გამომსახველი ხდება, იწყებს: „მონადირეების მაღაზიაში უნდა შეიძინო თოფი ვარდისფერი სპილოსათვის...“ მაგრამ, როგორც კი ამ სისულელეს წამოროშავს, სპიკერი დამცინავად წამსვე მკვეთრად აწყვეტინებს: „შეჩერდი! სტოპ! ვარდისფერი სპილო – არ არსებობს!“ ...და არიფიც საბოლოოდ დაგოიმებულია, სრულად გაუცხოებული, ხოლო ელიტარული კლუბის კარი მისთვის ავტომატურად ჩარაზული...

**სწორედ ამას, „ვარდისფერ სპილოზე ნადირობით“ არიფების ანეკდოტურ დაგოიმებასა ჰგავს ევროკავშირის ტესტი-დავალება „დეოლიგარქიზაციის“ თაობაზე. თუმცა, მსგავსად სახალისო ნამდვილად არ არის. რატომ?! ახლავე აგიხსნით:**




ჩვენიც, შეიძლება უფრო ნაკლებად, ვიდრე უკრაინისა და მოლდოვის, პრობლემა ყვითელი ან ვარდისფერი, საერთოდაც – სპილო და მასზე ნადირობა კი არ არის, არამედ ჭაობის ის „ყვითელი შლამია“, რასაც უკანონობა და უსამართლობა ჰქვია და რითიც მძიმეწონოსანი კრიმინალები სარგებლობენ, სხვებზე უპირატესობას, დიდ სახრავსა თუ ყალბ სახელს, რასაც „ჭარბ ზეგავლენას“ უწოდებენ, დანაშაულებრივად იხვეჭენ; ზუსტად ისე, როგორც „ყვითელი სპილო“ მანამ არ არსებობს, სანამ იგი ჭაობის შლამში არ ჩაეფლობა, არც „ჭარბი ზეგავლენა“ ე.ი. სხვებთან შედარებით ამა თუ პირის აღმატებული სიმდიდრე, „ცნობადი“ სახელი, მეტი ავტორიტეტი, გამოჩენილი კაცობა, შემძლე საქმეები, ე.ი. სხვებთან შედარებით მისი „დიდი წონა“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუკი პატიოსნად დამსახურებულია, უკანონო და დანაშაულებრივი არ არის, როგორ შეიძლება, პრობლემა იყოს?! სწორედაც რომ პირიქით:

**ვინაიდან დიდი კაცები, დიდად სახელოვანი, მდიდარი და ძლიერი, შემძლე პიროვნებები ქმნიან იმ სიკეთეებს, რითაც, როგორც ადრე დედამიწა სპილოებს ეჭირათ, დღესაც უჭირავთ ყოველი ერი და სახელმწიფო!**

**რა უბედურებაა, რა ღვთის რისხვაა მათ მიმართ შური, ღვარძლი, ბოღმა და მით უმეტეს – სანადიროდ მათი დევნა?! საჭირბოროტო პრობლემა ის კი არ არის, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ, არამედ პირიქით – ისინი ცოტანი არიან და რაც შეიძლება მეტნი უნდა იყვნენ! რა სჯობია მაგალითად იმას, რომ ჩვენ, დღევანდელ ქართველებს ერთი ივანიშვილის ნაცვლად მრავალი დიდი კაცი გვყავდეს, განა რამდენიც მეტი გვეყოლება, იმდენჯერ ძლიერები არ ვიქნებით? როგორ შეიძლება ვინმეს „ჭარბი ზეგავლენა“, ე.ი. ვინმეს დიდი „სოციალური კაპიტალი“, ვინმეს დიდი ავტორიტეტი, ვინმეს დიდი სახელი, დიდი კაცობა, თუნდაც ოდენ დიდი სიმდიდრე, ერის პრობლემა იყოს?! ეგ ხომ სწორედ ისაა, რასაც დიდი კონსტანტინე ჩიოდა: „... დიდი კაცი თუ გამოგვერია ვინმე, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები!“**

იმის ნაცვლად, რომ დანაშულის შლამში ჩაფლობა, ე.ი. „სპილოს გაყვითლება“, ანუ კონკრეტულად – უკანონოდ, ქურდობით, ძარცვით, კორუფციით, წართმევით, ძალადობით გამდიდრება, სხვისი დაჩაგვრით, დაშინებით, მუქარით, შეურაცხყოფით, „დაბულინგებით“, ვინმეზე ზეგავლენის მოხდენა, ანგარებიანი სარგებლის მისაღებად ამ „ზეგავლენით უკანონო ვაჭრობა“ (სამართლებრივი ტერმინია, განსხვავებით – „ოლიგარქისგან“) – მოსყიდვა, მოქრთამვა, კონკურენტების უპატიოსნოდ გზიდან ჩამოცილება, უსამართლო უპირატესობის მოპოვება, „დაკრიშვა“ „შავი ფულის“ გამოყენება და სხვ. ე.ი. ის, რაც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში და ჩვენთანაც, მოქმედი კანონმდებლობით უდავოდ მძიმე დანაშაულია, რასაკვირველია – უთუოდ უნდა იქნას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღკვეთილი!

**თუკი რამეა პრობლემა – სამართლის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობა, სამართლის დაცვა და აღსრულება! თორემ „ჭარბი ზეგავლენა“, თუკი ის კანონიერია, ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ვებერთელა სპილოს სიდიადე სხვა „ნადირთა მცირეთა“, წვრილფეხა ცხოველებთან, შედარებით! განა შეიძლება ვინმე ამას ებრძოლოს, თუკი ჭკუათამყოფელია?!**

...არადა, აგერ ეს, „სერიოზულთა და სოლიდურთა ელიტარული კლუბი“ – ევროკავშირი, როგორც დასაგოიმებელ არიფებს, სწორედ ამასა გვთხოვს:

**„(საქართველო) აიღებს და შეასრულებს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულებას. აღმოფხვრის იმ გადაჭარბებულ ზეგავლენას, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე“.**

არსებობს „დეოლიგარქიზაციის“ გაუკუღმართებული, ნაცური გაგება: აქ გავლენიანი ადამიანების, მიუხედავად ამ გავლენის კანონიერებისა, მათ, „ყვითელ და ვარდისფერი სპილოებად“ დიფერენცირებას, შენიანებად და მტრებად, დისკრიმინაციულ დაყოფას გულისხმობს, როცა ზოგი იმთავითვე „ყვითელია“, ზოგიც „ვარდისფერი“, ნადირობის სეზონი გახსნილია და ყველამ კეთილი უნდა ინებოს, მაღაზიას მიაშუროს და შესაბამისი ფერის სანადირო თოფიც იყიდოს.

ცხადია, ასეთი ინტერპრეტაცია სხვა არაფერია, თუ არა ზემოთ მოყვანილი ანეკდოტი – ე.ი. არიფი მონადირეების დაგოიმების იარაღი „ვარდისფერ სპილოზე“, რაც არ არსებობს, ნადირობის ტესტით...

* * *

**ჩვენი უკრაინელი მეგობრები, უკვე ელიტარული კლუბის კანდიდატები რომ არიან, გვარიანად დაწიანურებულან და საოცარი სამართლებრივი ნოვაცია, „დეოლიგარქიზაციის“ კანონი შარშან, 23 სექტემბერს უკვე მიუღიათ.**

ამ ნოვატორულ კანონს თუ გადახედავთ (ზუსტად ასე ეწოდება: Закон Украины „О предупреждении угроз национа-

льной безопасности, связанных с чрезмерным влиянием лиц, имеющих значительный экономический и политический вес в общественной жизни (олигархов)“ 1780-IX), მართლაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ იმ არიფივით დაგოიმდნენ, რომელმაც მოისმინა რა ყვითელ სპილოზე ნადირობის სახალისო ისტორია, გადაწყვიტა ჭაობი კი არ დააშროს, არამედ უკვე ვარდისფერ სპილოზე სანადირო თოფი მართლაც იყიდოს. თოფი შეუძენია, ე.ი. კანონი უკვე მიუღია, მაგრამ სად და როგორ იპოვოს ახლა ვარდისფერი სპილო?! რადგან კანონი ჭაობის, ანუ უკანონობის შლამის წინააღმდეგ მიმართული სულაც არ არის, „ყვითელ სპილოს“ არცა ცნობს, ადგა ეს არიფი და თავადვე გამოიგონა, რას ეწოდება „ვარდისფერი სპილო“, ე.ი. „ოლიგარქი“. კანონში ვკითულობთ, რომ ოლიგარქი არის **„მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირი“** (!), ანუ, თუ ანალოგიით ვიმსჯელებთ, ვარდისფერი სპილოც – ჩვეულებრივი სპილოა, ე.ი. დიდი, შესაძლოა ვებერთელაც, წონით გამოირჩევა და წვრილფეხა არსება ნამდვილად არ არის. მაგრამ სპილოს საკუთრივ ვარდისფერობა, ე.ი. „ოლიგარქის ოლიგარქობა“ უკანონობის შლამთან კი არ არის დაკავშირებული, ე.ი. ის ყვითელი კი არ არის, არამედ ვარდისფერია! რაც ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი ნიშნიდან ნებისმიერი სამის ერთობლიობადაა (ვარდისფერი ხასიათდება, როგორც ოთხი მსგავსი „მოწითალო“ ფერიდან სამის კომბინაცია მაინც) მიჩნეული. ეს 4 ნიშანია:

**1) პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა;**

**2) მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა;**

**3) წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის, რომელიც არის ბუნებრივი მონოპოლისტი, ანდა ბაზარზე უკავია მონოპოლიური (დომინანტური) მდგომარეობა, საბოლოო ბენეფიციარი;**

**4) იმ სამეურნეო სუბიექტის, რომლის ბენეფიციარსაც იგი წარმოადგენს, აქტივების დადასტურებული ღირებულება, აღემატება შრომისუნარიანი პირის საარსებო მინიმუმის 1 მილიონჯერ მეტ ღირებულებას (2 270 მლნ. გრივნას);“**

ამრიგად, თუ ამ ოთხიდან ნებისმიერი სამფეროვანი კომბინაცია (რაც კანონიერება-უკანონობასთან არაფრითაა დაკავშირებული), გვაქვს, ვარდისფერი სპილოცა გვყოლია! რაც მთავარია: ასეთი სპილო უნდა დაინახოს და აღრიცხოს არა ვინმე სხვამ, არამედ არც მეტი არც ნაკლები – უკრაინის სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ, ანუ საკმაოდ მრისხანე მონადირემ! ნადირობის არსი კი ეს არის: ვარდისფერი სპილოს, ანუ ოლიგარქის პოლიტიკური მოკვდინება – მას პოლიტიკასთან არავითარი შეხება აღარ უნდა ჰქონდეს – ეკრძალება მონაწილეობა ნებისმიერი პარტიის საქმიანობაში, მათი დაფინსება და საერთოდ, ყოველგვარი პოლიტიკური აქტივობა, გარდა აქტიური საარჩევნო უფლებისა – ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს არჩევნებში. მოკლედ „ოლიგარქს“ პოლიტიკური სიკვდილი აქვს მისჯილი. „ოლიგარქი“ მხოლოდ იმიტომ, რომ გავლენიანია, „დიდი წონისაა“, ე.ი. თუნდაც გაუსვრელია, არა ყვითელი, არამედ „ვარდისფერი სპილოა“, ან თუ გნებავთ – „თეთრი ყვავია“, დისკრიმინაციულად ისჯება და მას, რაიმე სამართლიანი საფუძვლის გარეშე, ერთმევა მოქალაქის ფუნდამენტური უფლებები – საკუთარი ქვეყნის პოლიტიკაში მონაწილეობა!

**გამაოგნებელია!**

რასაკვირველია, ჯერჯერობით ამ უკრაინულ თოფს ვარდისფერი სპილოსთვის არ გაუსროლია, არც რომელიმე ოლიგარქის „ჭარბი გავლენა“ ოდნავადაც არ შეუმცირებია და რაც მთავარია, იოტისოდენი გავლენა არ მოუხდენია იმ ძირეული პრობლემის აღმოფხვრაზე, რაც ე.წ. ოლიგარქების, სინამდვილეში – მსხვილი კრიმინალების, უკანონო, კორუფციულ, დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება!

* * *

**...როგორც ვხედავთ, უკრაინამ დაგვასწრო და იგი დეოლიგარქიზაციის თვალსაზრისითაც უკვე ჩვენსავით არიფი კი არ არის, არამედ დაწინაურებული კანდიდატია, თუმცა ამ კანონით თუ ვიმსჯელებთ, საკითხავია, რისი კანდიდატი?! ჩვენ ისევ ოდენ პერსპექტიული არიფები ვართ, ღია კარში, სადაც ვერ შეხვალ, ზღურბლზე ვდაგავართ და ჯერ უნდა იმაზე ვიმტვრიოთ თავი, რასაც გვეკითხებიან: „აბა, გეთაყვა, რადგან თქვენ უკვე იცით, რომ ყვითელი სპილო – ჭაობის შლამში ჩაფლული და ტალახით გასვრილი სპილოა, ხომ ვერ გვეტყოდით, როგორ უნდა მოკლათ ვარდისფერი სპილო?“ სამწუხაროდ, ეს ტესტი ასეთივე სახალისო ვერ არის, რადგან თუ ცოტა მაინც დავაკვირდებით, ძალიან ჰგავს ამ ნაცნობ კითხვას – „როგორ დავიჭიროთ კატა ბნელ ოთახში?“**

თუ საზომად სამართალი და სამართლიანობა, ე. ი. სჯული არა გაქვს და მას არ მისდევ, არანაირი უნივერსალური ფორმულა არც ბნელ ოთახში შავი კატისა და არც ვარდისფერი სპილოს პოვნისა, ცხადია, არ არსებობს. ვერც ვერავინ ვერასდროს შეთანხმდება, თუკი ვარდისფერ სათვალეს არ გაიკეთებს ან პირიქით, გარემოს ისე არ დააბნელებს, რომ მათზე ინადიროს.

ვინ არის „ოლიგარქი“? – ამ კითხვას ცალკე ნაცებმაც და ცალკე ქოცებმაც უკვე გასცეს პასუხი. ისედაც ყველამ ვიცოდით, როგორ უპასუხებდნენ. არაფერი შეცვლილა. აშკარაა, „ნაც-სპილოებიცა“ და „ქოც-სპილოებიცა“ გვყავს. უფრო სწორად, ვეება „ქოც-სპილო“, რადგან ნაცების სამიზნე ერთადერთი ოლიგარქი, ბიძინაა! ნაცებისთვის სხვა ოლიგარქი, გარდა „რუსი ოლიგარქისა“, ბუნებაში არც არსებობს.

**ამ „დეოლიგარქიზაციის“ გადამკიდე, შეგვიძლია ჩვენს ორპარტიულ სისტემას ისეთივე სიმბოლოები, როგორც ამერიკელ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებსა აქვთ, მოვუგონოთ. ქოცებისა იქნება მისი „ოლიგარქი“ ანუ ვარდისფერი სპილო, ნაცებისა კი – მუქი სათვალით, რადგან ყველაფერს მხოლოდ შავ ფერებში ხედავს, აღკაზმული ვირი, უთუოდ ვირი, რადგან „რუსი ოლიგარქის“ გარდა სხვას, არაფერსა და ვერაფერს, მათ შორის – ვერც საკუთარ ოლიგარქებს, ვერ ამჩნევს!**

**ასევე შეგვიძლია ავიღოთ ოლიგარქიასთან ბრძოლით უკვე ვარდისფერი სათვალით დაბრმავებული უკრაინის კანონი და იოლად აღმოვაჩენთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ კანონის კრიტერიუმებით, საერთოდაც არ გახლავთ არანაირი ოლიგარქი, ე.ი. სულაც არაა სპილო, მართლაც: 1. იგი არ მონაწილეობს პოლიტიკაში (ამის არც ერთი ფაქტობრივი მტკიცებულება არავის წარმოუდგენია და მხოლოდ „აღქმებს“ თუ ნახავათ ე.წ. არგუმენტებად); 2. იგი მედიაზე რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენით, თუკი აქაც ფაქტებს დავეყრდნობით, ნამდვილად ვერ დაიკვეხნის; 3. მის არც ერთ საწარმოს, რომლის საბოლოო ბენეფიციარიცაა, არ უკავია ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა; ხელთ შეგვრჩება ერთადერთი, მე-4 კრიტერიუმი, რასაც ის ნამდვილად აკმაყოფილებს, რადგან მართლაც გახლავთ უზარმაზარი აქტივების, რაც სარსებო მინიმუმს არათუ მილიონჯერ, არამედ ასეულობით მილიონჯერ აღემატება, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივების ლომის წილი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გადასცა, საბოლოო ბენეფიციარი.**

დასკვნა ნათელია: უკრაინული, ლამის სამაგალითოდ შერაცხილი, „ვარდისფერი კრიტერიუმებით“ – ბიძინა არ გახლავთ ოლიგარქი.

სამაგიეროდ – ნაცების ფლანგზე, ე.ი. ამდენ ვირებში, უამრავი ყვითელი სპილოა – უკანონობის ჭაობში გვარიანად გასვრილი ოლიგარქი: მათ სახელ-გვარებს ქუჩაში ნებისმიერი გამვლელი ზეპირად ჩამოგითვლით.

...აი აქ, კიდევ ერთი ელიტარული კლუბი „რა, სად, როდის?“ უნდა გავიხსენოთ: რატომ და იმიტომ, რომ სწორედ საამკლუბო იქნება ასეთი ტესტი: „დაასახელეთ ჭარბი ზეგავლენის წინააღმდეგ დემოკრატიის ბარბაროსული ბრძოლის ისტორიული მაგალითი“. ამ კლუბის წევრებს არ გაუჭირდებოდათ სწორი პასუხის გაცემა და უმალ „ოსტრაკიზმი ათენის დემოკრატიაშიო!“ – უპასუხებდნენ. დიახ, არქაული დემოკრატიის ერთგვარი ველურობა გახლდათ, როცა „ჭარბი გავლენის“ მქონე „დიდ კაცებს“ ათენელები აგორაზე კენჭისყრით გამოუტანდნენ ხოლმე სამშობლოდან გაძევების განაჩენს, რასაც „ოსტრაკიზმი“ ეწოდებოდა და ველურობით იმას თუ შეედრებოდა, როცა სოკრატეს, მასაც ასევე „დემოკრატიული“ არგუმენტაციით, ციკუტა დაალევინეს.

**შორს რომ არ წავიდეთ, „დიდ კაცებთან“ ბრძოლის, როცა ნაძირალებისგან ჭკუადაკარგული ბრბო „ჭარბ ზეგავლენას“ ვერ ეგუება და ბოროტად შურს იძიებს ყველა იმ დიდი სიკეთისთვის, რაც ამ დიდ კაცს მათთვისვე უკეთებია, უამრავი მაგალითი ქართული სინამდვილისთვის უცხო არ არის. მათგან ისტორიულად ყველაზე ამაზრზენი, რასაკვირველია – პროგრესულობის სახელით დიდი ილიას ყვავებივით დაკორტნა და ბოლოს საზარელი მკვლელობაა. „ცინცხალი“ მაგალითიც გვაქვს – მეფე ერეკლეს დაკორტნა ბინძური ნეო-ჭილყვავების მიერ! რომ შეეძლოთ, ცხადია – მასაც მოკლავდნენ!**

მსგავსი სიშლეგისკენ, უგუნურებისკენ, სრული ველურობისკენ, რაც „ბოროტი დეოლიგარქიზაციით“, „ჭარბი ზეგავლენის“ წინააღმდეგ ეშმაკეული შეპყრობილობის მკაფიო მაგალითი გახლავთ, დაუფარავად მოუწოდებდა ბრბოს (დიახ, ბრბო და არა ხალხი, შეიძლება იყოს ასეთი მოწოდების ადრესატი) სააკაშვილი: **ბიძინას სასახლის სარდაფში 800 მილიონი ევრო აქვს, მივუვარდეთ, წავართვათ, გავინაწილოთ, ბიძინა კი გამოვათრიოთ და „ოსტრაკიზმს“ ვინღა ჩივის, ლინჩის წესით დავსაჯოთო!** არადა, ეს სწორედ ის სააკაშვილია, ვისაც სამართლითა და კანონით, საერთოდ ეკრძალება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, ვინაიდან თავისივე ნებით უარი თქვა სამშობლოზე და ქართველი მოქალაქე არც არის, უკრაინელი ბოროტმოქმედია! ეკრძალება, მაგრამ როდის იყო მისთვის ან უკუღმართი სხვა ნაცისთვის, რომელიმე აკრძალვას რაიმე მნიშვნელობა ოდესმე გააჩნდა?! მათი „მოწოდება და პროფესია“ პოლიტიკა კი არა, უკუღმართობაა, სამართლისა და სამართლიანობის საპირისპიროდ – უსჯულოებაა; ხოლო ამგვარი „დეოლიგარქიზაციის“ მოწოდებები კი სჯულდაკარგული, დაბნეული, დეპერსონალიზებული ინდივიდების მასისთვის, რასაც არ მეტი, არც ნაკლები – ბრბო ეწოდება, არის განკუთვნილი. „გოიმობაც“ იგივესა ნიშნავს – ებრაელები წარმართებს, ე.ი. სჯულისგან გაუცხოებულებს, ე.ი. უსახურ „მასებსა“ თუ უფორმო „ბრბოებს“ და არა პატივსაცემ ხალხებს, უწოდებდნენ.

**...თუ გვსურს პოლარიზაციაც დავძლიოთ და „დეოლიგარქიზაციაც“ მართლზომიერად, ერთადერთი გამოსავალი გვაქვს: მივაფურთხოთ ეშმაკს, ზურგი ვაქციოთ დამგოიმებლებს, უცხოელ თუ აქაურ ნაცებს და სამართლისა და სამართლიანობის, ანუ – სჯულის გარშემო ყველანი გავერთიანდეთ! მაშინ, აღარ მოგვიწევს არც ვარდისფერი თუ ყვითელი სპილოების „ფორმულების“ გამოგონება და საბოლოო ჯამში, ბნელ ოთახში კატის ძებნა. სჯულით გაერთიანება ისიცაა, როცა ყველანი ერთად პასუხისმგებლობით შევუდგებით უსამართლობის ჭაობის დაშრობას, რადგან მართალ გზაზე ვიაროთ და როგორმე ჭაობში ჩაფლობის, მისი შლამითა და ტალახით გასვრის, ერთი-მეორეზე ნადირობის თუ სხვადასხვა ჯურის მტერთაგან, მგელი იქნება ის თუ მგლისფერი ძაღლი, ჩვენზე ნადირობის საფრთხეებს გავუმკლავდეთ. ქართველები ვართ და ნუ ვიქნებით ვარდისფერი სპილოს ტესტით დაგოიმებული არიფი მონადირეების ბრბო. არ გვეკადრება. უნდა ვებრძოლოთ არა „ჭარბი ზეგავლენის“ დიდ კაცებს, არამედ – უსამართლობასა და უკანონობას.**



**აი, ეს არის ერთადერთი ღირსეული პასუხი ელიტარული კლუბის არცთუ რთულ ტესტებზე.**

**ქართული კლუბის სახელით,**

**დავით ზარდიაშვილი**



გურამ ალექსიძე

# გამოჩენილი მეცნიერის კიდევ ერთი აღიარება

**გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გურამ ალექსიძე 2022 წლის 3 ივნისს აირჩიეს ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.**

აკად. გ. ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. 1983-1987 წლებში იყო ამერიკის ენტომოლოგთა და ფიტოპათოლოგთა საზოგადოების წევრი, 2015 წლიდან დღემდე არჩეულია ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარედ (CACAAR), 2015-2016 წლებში იყო FAO-ს ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროგრამის (TAP) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIR) ფონდის საბჭოს წევრი; 10 წლის განმავლობაში იყო ევროპის გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი საქართველოში.

აკად. გ. ალექსიძე 2020 წლიდან არჩეულია ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEAA) პრეზიდენტად.

აკად. გ. ალექსიძეს გამოქვეყნებული აქვს 260-ზე მეტი მაღალი მეცნიერული ღირებულების სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 30-ზე მეტი წიგნი, მონოგრაფია და ბროშურა, მათგან 80 საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცემებსა და ჟურნალებში.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეხება აგროცენოზებში გავრცელებულ მავნე და სასარგებლო მწერების (ტკიპების) ურთიერთდამოკიდებულებაში მათემატიკური მოდელირების სისტემების გამოყენებას; ის აღიარებულია, როგორც ახალი მიმართულება მცენარეთა დაცვაში.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია აკად. გ. ალექსიძის წარმატებული მოღვაწეობა აგრობიომრავალფეროვნების პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა და გამოიცა ავტორთა კოლექტივის კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება (კატალოგი)“, ოთხ (ქართულ, ლათინურ, რუსულ და ინგლისურ) ენაზე. ამ ნაშრომს დიდი აღიარება და მოწონება ხვდა წილად საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს აკადემიკოს გურამ ალექსიძეს, ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო და გამოჩენილ მეცნიერს, კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას და უსურვებს მრავალ წარმატებას სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# ჩემი ქართველები



ირაკლი ხაზიური მეგობრებთან ერთად ბაიკალზე

**ირაკლი ხაზიური – თბილისელი ბიჭი, გეოლოგებში სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ მოხვდა და იგი ერთადერთი პროფესიონალი სპორტსმენი იყო ჯგუფში, თანამედროვე ხუთჭიდელი. სპორტის ამ სახეობაში ვერ დაწინაურდებოდა კაცი, თუ ის ყოველმხრივ განვითარებული არ იყო, ვინაიდან ის მოიცავდა სპორტის ხუთ, ერთმანეთისგან განსხვავებულ სახეობას: ცხენოსნობა, კროსი ბარიერებით, სროლა პისტოლეტიდან (მარგოლინი), ფარიკაობა – დაშნა, ცურვა 300 მეტრზე, სირბილი სამ კილომეტრზე, კროსი. ირაკლი ქვეყნის ცნობილი სპორტსმენების გვერდით ღირსეულად ასპარეზობდა და ტოლს არავის უდებდა.**

ფიზიკურად ძლიერი, მუდამ გრძნობდა უპირატესობას თავის გარემოცვაში, ფლობდა საკუთარ თავს, ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, უმამოდ გაზრდილი დედას ყველანაირად გვერდში ედგა, მეგობრებთან უშუალო, უბრალო, ყველანაირად ხელის შემწყობი. სიკეთის უანგარო მკეთებელი, ხშირად ისე, რომ ეს მისთვის არაფერი სიკეთის მომტანი არ ყოფილიყო, გულახდილი გარემოცვაში, არ ცრუობდა, შიში არ ეკარებოდა, პრობლემების გადაწყვეტას გვერდს არ უვლიდა.

იზიდავდა შეუცნობელი, სხვანაირად რა აუცილებელი იყო პატარა საქართველოს შვილისთვის იმ სიშორეზე წასვლა, თანაც რომ იცოდა, ის სირთულეები (სიძნელეები) იქ იმალებოდა. ჩემი აზრით, ეს მისი შინაგანი მოთხოვნა იყო, შეუცნობელისა და შიშის გარემოში ყოფნა და საქმიანობა, არსებულის უკმარისობა, ლტოლვა განახლებისაკენ, შეუცნობელის შესაცნობად.

მიდიოდა იქ, სადაც ბევრი მაღალი ხელფასისთვის და სარგებლის მისაღებად, მაგრამ რომ ვერ უძლებდნენ, გამორბოდნენ იქიდან, ვერ ეგუებოდნენ იქაურ მდგომარეობას, განსაკუთრებით მიუღებელი იყო იქ დამკვიდრებული ლოთობა, ყოფა, საშინელი, სინამდვილე, იქაური უგზოობა, ქვეყნისაგან მოწყვეტა.

ირაკლის მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ოდისეა ადამიანში გაკვირვებასთან ერთად აღფრთოვანებას არ იწვევს, რუსები ხომ ამაყობენ თავისი პრჟევალსკებითა და მიკლუხო-მაკლაებით, ინგლისელებს, უდავოა, რომ უფრო მეტი ჰყავთ ამ დარგში, ლივინგსტონების დარი მკვლევარები, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, არაფერი გასაჩუმებელი არა გვაქვს.

ირაკლი ხაზიურის გზა უბრალო მოგზაურის გზა კი არა, სამყაროს შეცნობის დაუოკებელი სწრაფვა უფრო იყო. მოკლედ თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ მის არა მოგზაურობებს, არამედ უკვე დადგენილის ასათვისებლად გაწეულ მძიმე შრომას, რომლისთვისაც აუცილებელი იყო დიდი შინაგანი ძალა და ენერგია, ორგანიზატორული უნარი და მიზანსწრაფულობა.



ესეს ანგოლა

1967 წელს ის მონაწილეობდა ტაშკენტის გარშემოვლის გზის დაპროექტებაში.

ამას მოჰყვა მისი გადასვლა ბურიატიაში, ულან-უდეში, მუხორშობისის 150 კმ-იანი და ულან-უდეგუსინოოზიორსკის 80 კმ-იანი გზების დაპროექტებაში.

აქედან გადმოისროლეს მაიკოპ-დაგომისის გზის მშენებლობაზე, რომელიც გადიოდა კავკასიონის ქედის ბილიკებზე.

1974 წლიდან მუშაობს თურქმენეთში, ყარა-ყუმის უდაბნოში, დასაპროექტებელი გზა გადიოდა უდაბნოს ბარხანებში, ქვიშიან რელიეფზე ირანის საზღვრამდე. თითქმის ორი წელი სამყაროსთან კავშირი ჰქონდათ თურქესტანის რკინიგზის ერთ-ერთი ბაქნის საშუალებით, სადაც მათი ბაზა მდებარეობდა. აწუხებდათ უწყლობა, არცთუ იშვიათად აქლემის ნაფეხურებში დაგროვილ წყალს სვამდნენ, თუმცა არაფერი დამართნია, არასოდეს სიცხეც კი არ ჰქონია.

1975 წელს გადაისროლეს ისევ ბამზე მისასვლელ ნოვოკიევსკიფევრალსკის 280 კმ-იანი გზის დასაპროექტებლად, სამხრეთ იაკუტიაში, გაუვალ ტაიგაში.

მძიმე იყო მუშაობა ტაჯიკეთში – კულიაბ-შუროაბადის გზის დაპროექტებაში. შუროაბადის უღელტეხილზე ცხოვრობდნენ კარვებში, შეისწავლეს უღელტეხილის ორივე მხარე, რომელიც ჩადის მდ. ნარინზე, ავღანეთის საზღვარზე, ტიანშანის მთებში, სადაც ფრუნზედან გადაისროლეს ვერტმფრენებით სირ-დარიის ზემო დინებაზე, მდ. ნარინზე.

ყველაზე შთამბეჭდავი და რთული იყო ოშ-ხოროგის ცნობილი გზატკეცილის განახლება პამირის მთიანეთში 2400-4350 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც აშკარა იყო ჟანგბადის უკმარისობა, ჭირდა სუნთქვა, მიუხედავად სიძნელეებისა, ჯგუფის დასკვნა დროულად დაედო საფუძვლად საერთო პროექტს.რაც დასამახსოვრებელი შერჩა მის მოგონებას, ეს იყო გარეული ცხვრის – არხარისა და ნიამორის რქები, რომლებიც შემდეგ ირაკლისთან სუფრაზე იმ დღეთა მოსაგონებლად იცლებოდა. იყო კიდევ ერთი: მდინარე ნარინზე ხიდის დაპროექტება.

მდინარე ნარინზე ხიდის დაპროექტებისას საჭირო შეიქნა საკვლევი მოწყობილობების მდინარის მეორე ნაპირზე გადატანა. ყველაფერი მოგვარდა და, გასაბერი ნავით უკან გამობრუნებისას, შემსუბუქებული ნავი მდინარემ გაიტაცა, გიჟური ბუნების ნარინი კი არც ნავს და არც მენავეს არას დაგიდევდა. თავს ცურვით უშველა, ამასობაში გასაბერი ნავი მორევში მოექცა და უთავბოლოდ ტრიალებდა, არც წინ და არც უკან ვერ მიდიოდა და როგორც ჩანდა, მალე გაგიჟებულ მდინარეში ჩაიკარგებოდა. ჯგუფს გამოეყო ექსპედიციის წევრი ზურა ბაბუციძე და გადახტა გადარეულ ნარინში, რომელთანაც ბრძოლა იოლი არ გამოდგა, მაგრამ არც შეუძლებელი. ზურამ თავგანწირვით გააპო მისი ტალღები და როგორც იქნა ნავი ნაპირისკენ გამოაცურა.

უფრო შთამბეჭდავი სანახავი არა იყო რა – გადარეული მდინარე, გადარჩენილი ნავი და ნაპირს გამოღწეული ზურა, ეს სურათი მთელ ცხოვრებაში თანმდევი და დაუვიწყარი გახდა.

ამის შემდეგ ირაკლის კანდიდატურა რეალურად დადგა კუბაში ჯგუფის უფროსად, მივლინება ამ ბედნიერების და თავისუფლების კუნძულზე, როგორც მას ეძახდნენ, დასვენებად უფრო მოჩანდა, აქამდე მის მიერ გავლილ გზებთან შედარებით.

საქმეს წინ არაფერი ედგა, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სატანას არ ეძინა, საქმე დაბლოკა მოსკოვმა, თურმე თბილისიდან შესული ანონიმკის საფუძველზე.

მაგრამ ირაკლის პროფესიონალიზმს, საქმისადმი ერთგულებას გაგრძელება სხვა მიმართულებით გამოუჩნდა. ის რამდენიმე წლით მიავლინეს აფრიკაში, კერძოდ, ანგოლაში, ამ პოლიტიკურად დაულაგებელ ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო ომი აპოგეას აღწევდა და რომელშიც კუბელი სამხედრო კონტიინგენტის მეშვეობით, ასე თუ ისე ლაგდებოდა.

ირაკლის საქმიანობა უხდებოდა მთელი ანგოლის ვრცელ ტერიტორიაზე, არცთუ იშვიათად - ამბოხებულების მიერ კონტროლირებად მიწა-წყალზე, რასაც ხშირად უკანა პლანზე გადაჰქონდა აფრიკის ბუნებრივი სირთულეები, ყოველდღიური რისკები. მარტო ის, რომ სხვადასხვა სახეობის გველები რომ იკლაკნებიან გარშემო, მდინარეები და წყალსაცავები რომ გავსებულია ნიანგებით, საკმარისია იქ არსებული სიძნელეების დასახასიათებლად. რეალური საფრთხე ყოველ ნაბიჯზე წამოჰყოფდა ხოლმე თავს, მანქანაში კი ყოველთვის ედო კალაშნიკოვის ორი ავტომატი, ერთი საბჭოთა, მეორე კი კუბელების ნაჩუქარი; მათთან ირაკლის საუკეთესო და დაუვიწყარი ურთიერთობები აკავშირებდა.

მაგრამ ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის ანგოლაში ადრე ჩასულ **მირიან მირიანაშვილთან** მეგობრობა.

ერთი უნდა გენახა, თუ რა მოჰყვა მირიანაშვილის წამოძახილს პირველ შეხვედრაზე: „ვინაა აქ ქართველი?!“, ამაზე რეაქციას და შემდგომ სიცოცხლის ბოლომდე შერჩენილ მეგობრობას.

მოკლედ, ცხოვრებამ არგუნა მოევლო მსოფლიოს ურთულესი ადგილები და მან ეს ღირსეულად დაძლია. მე იშვიათად მინახავს ირაკლისნაირი თავგადასავლების მქონე ადამიანები: ჯერ ხომ მოიარა ციმბირი, იაკუტიის ტაიგები, რასაც თან ახლდა ძნელად შესაგუებელი თეთრი ღამეები, მუშაობდნენ დილის ოთხი საათიდან საღამოს თერთმეტ საათამდე, დასვენებისა და ძილისათვის გამოყოფილი ხუთი საათი არ იყო საკმარისი, მაგრამ გადატვირთული ორგანიზმის აღდგენა სასიცოცხლო მოთხოვნას წარმოადგენდა და ასეთი პირობებისადმი შეგუება გარდაუვალი იყო.

ამას მოჰყვა შუა აზია, ყარაყუმის უდაბნოში ორწლიანი ეპოპეა, ტაჯიკეთში პამირის, შემდეგ კი ტიან-შანის მთიანეთში გაუსაძლისი საქმიანობა. მარტო ის, რომ ნახევარი წელიწადი ჟანგბადის უკმარისობის პირობებში თავგამოდებული შრომა, რასაც მოჰყვა, როგორც უკვე ვთქვი, რამდენიმე წელი აფრიკაში გაძლება, ამ ყველაფერს გაუძლო ირაკლიმ, თანაც ღირსეულად!..

იშვიათია ასეთი ადამიანები, მაგრამ ისინი ჩვენ გვერდით იყვნენ ისე, რომ არცკი ჩანდნენ, არ ხმაურობდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო ირაკლი ხაზიური, ჩვენი მეგობარი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ჩვენი ჯგუფელი, 384-ე ჯგუფიდან, უბრალო ქართველი კაცი, გამძლე და მებრძოლი.

* * *

**ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ყველაზე დიდი ხნით მომიწია სამძებროში საქმიანობა, როგორც გვეძახდნენ, ე.წ. „ბრაზიანების“ სამსახურში. ვითარებიდან გამომდინარე ერთმანეთს შევრჩით მძიმე მოვალეობებით დატვირთული ადამიანები, ვისაც ძალიან ცოტა ჰქონდა გასახარი დღეები, გარშემო როდესაც ხედავ ამდენ უბედურებას – ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობები, ძალადობა – აბა, რა უნდა დაგრჩეს გასახარი.**

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გამოერეოდა ლამაზი დღეები, ბოროტებასთან ბრძოლაში წარმატებული, რომელთაც მართლაც ნაღდი სიხარული მოჰქონდა და უპირველესად ეს მეგობარი თანამშრომლების ურთიერთობებში ვლინდებოდა. აი, მაშინ თუ ვეცნობოდით ერთმანეთს, ვიყოფდით ერთმანეთში სიხარულს და ვიგებდით, ვინ რითი ცხოვრობდა, ვის რა აწუხებდა, ვინ რა იმედით ცხოვრობდა.

**თამაზ ქარსიძე** ტრადიციული სამძებრო ტრადიციების ოჯახიდან იყო. მისი მამაც ისე დაბერდა სამძებროში, რომ სხვაგან არც გაუხედავს, სამძებროს ერთგულ მუშაკად ცნობდა ყველა და შვილიც მის გზას გაუდგა, ვითომ რა, არ იყო მისთვის ცნობილი ამ სამსახურის სიძნელეები? მაგრამ შინაგანმა ძალამ აქეთკენ უბიძგა და ჩვენც ერთმანეთს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამსახურში შევეყარეთ. ერთი უთქმელი, თავის თავში დარწმუნებული ადამიანი აღმოჩნდა. ეს კია, რომ დავალებების, მიუხედავად მათი სირთულისა და სიმძიმისა, უზადო შემსრულებელი იყო.

იმ კონკრეტულ “საქმეთა“ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არცაა მისი მოყოლა ჩემი მიზანი, ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ მასთან მუშაობა და გვერდში დგომა არამცთუ სიამოვნებას, არამედ იდუმალებათა სამყაროში ჩახედვის სურვილს ჰგვრიდა ადამიანს, ვგრძნობდით, რომ თამაზი არ იყო მთლად გახსნილი, ის თავისთავში თითქოს რაღაც საიდუმლოს ატარებდა და ეს საიდუმლო ჩვენთვის დაფარული იყო. ის მუდამ ფრთხილი იყო კრიმინალთან ბრძოლაში, მათი გამოვლენის შემთხვევაში არასოდეს კარგავდა



თამაზ ქარსიძე

**დასასრული.**

**დასაწყისი იხ. „სრ“ № 78**

ღირსების გრძნობას, თანაც თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედსაც აღუძრავდა კეთილ ზრახვებს და ამ ქვეყნის სასიკეთოდ მოაბრუნებდა.

დიდი ხანი ვმუშაობდით ერთად, შემდეგ კი მოგვიწია დრომ და დავშორდით ერთმანეთს. დავშორდით სამსახურებრივად, თორემ ისე ყოველდღიურ ურთიერთობაში როდი დაგვიკარგავს ერთმანეთი.

ერთხელაც, სვეტიცხოვლის მონახულებისას, გადმომცა დიდ კონვერტში ჩადებული ნაწერები. როდესაც ჩავიხედე, გაკვირვებული დავრჩი, ჩემს ხელში აღმოჩნდა ძველი ნაწერების ასლები, როცა დავეკითხე, მიპასუხა, რომ ეს იყო საბუთები, რასაც ოჯახი სათუთად ინახავდა და უვლიდა.

შემდეგ, როდესაც მომეცა ამ საბუთების გაცნობის საშუალება, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ქარსიძეების საგვარეულოს სიგელები, რომელიც მიღებული ჰქონდა საქართველოს მეფეებისგან, ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისა და თავდადებისთვის. განსაკუთრებულად განმაცვიფრა გაერთიანებული საქართველოს მეფის – ალექსანდრე I დიდის მიერ გაცემულმა სიგელმა. ზევრი რომ არ ვთქვა, სხვა სიგელებთან ერთად იყო ქართლის მუსლიმი მეფის, როსტომის მიერ ხელმოწერილი სიგელიც.

თურმე ქარსიძეების გვარი ფეოდალურ ეპოქაში ცნობილი იყო სამეფო ოჯახის ერთგულებით, ქვეყნისთვის გაწეული სამსახურით და ეს ყველაფერი ინახებოდა საოჯახო არქივებში, არ ხმაურდებოდა, რადგანაც ქართული სინამდვილის გასანადგურებლად შემოსეული მტერი არ ინდობდა ყოველივე ქართულს, საფრთხის წინაშე იდგა ჩვენს მონასტრებში დაცული სიგელ-გუჯრები, ასევე არამცთუ ქართულ ტრადიციულ ოჯახებში დაცული საგვარეულო საბუთები, არამედ მტერი განუკითხავად თხრიდა ქართულ სამარხებსაც, ხოლო ბოლშევიზმის შემოსვლასთან და დამკვიდრებასთან ერთად ამ საბუთების შენახვა და გადარჩენა სიცოცხლისათვის საფრთხეს შეიცავდა.

როდესაც ვკითხე თამაზს, თუ რატომ არ აჩენდა ამ საბუთებს, რომლებიც ოჯახის ღირსეულ წარსულს ასახავდა,, მიპასუხა, რომ მიზეზი იყო შიში, შიში მოსპობისა და არგადარჩენის, ოჯახის, საგვარეულოს განადგურების.

მაგრამ ეყოთ ვაჟკაცობა და საბუთები საბოლოოდ შეინარჩუნეს, უფრო სწორად, შეუნარჩუნეს ოჯახსაც და ქვეყანასაც.

აი, ამას გვიმალავდა თამაზ ქარსიძე, საქართველოსა და ქართლის მეფის მესტუმრეთა შთამომავალი და ისე, რომ ქარსიძეები გაჩუმებულნი ელოდნენ დროს, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა მათი გამომზეურება და საქვეყნოდ ჩვენება.

ამ დავალების ბოლო შემსრულებელი კი გახლდათ ჩვენი მეგობარი თამაზ ქარსიძე.

* * *

**და მოვიდა დრო, რომ გავცე პასუხი კითხვას, თუ ვინ გადაარჩინა და როგორ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საქართველო.**

ვინ რას არ იგონებს, რა თეორიებით გვკვებავს, ზოგი ამბობს, რომ გადაარჩინა ზღვამ, ზოგიც - მთამო, ზოგი - წარმოების წესმაო, მაგრამ იმაზე ყველაზე ნაკლებს ამბობენ, რომ საქართველო გადაარჩინა ქართველმა კაცმა, ქართველებმა. მარტო ერთი გარემოება, რომ ერწო-მთიანეთიდან შაჰ-აბასმა (ძაღლი მიაკვდა სულში!) 30 ათასი ქართველი გადაასახლა სპარსეთში, ორნახევარი საუკუნე დასჭირდა, რომ მხარე ისევ აღორძინებულიყო და ეს აღორძინება მოხდა ქართველი კაცის ურყევი ნებით, რომ თუ არა, როგორც ვაჟა იტყოდა, „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა, სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“ და რომ არა ეს გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები, საქართველოს ადგილზე შეგვრჩებოდა ნასაქართველო ქვეყანა.

**ლუსიონ შონია,** უბრალოდ ლუსიონ ბიძია, რომელიც გერმანელების ტყვეობიდან სიკვდილ-სიცოცხლის ფასად გამოიქცა და შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს, იბრძოლა, წუთითაც არ შეუშინდა მოძალებულ მტერს, იტალიისათვის თავგანწირვით მებრძოლმა სიცოცხლე სასწორზე დადო და ქართველი კაცის სახელი ღირსეულად ატარა, აჩვენა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეიძლება მისი ნდობა, მასზე დაყრდნობა, რომ იტალიისათვის ისევე, როგორც საქართველოსთვის, შეიძლება თავი გადადო, თუ ამ ბრძოლის მიზანი ორივე ქვეყნისთვის ერთია – თავისუფლება და ღირსება, რაც არ უნდა საფრთხე გემუქრებოდეს!..

**თემურ გრიგორაშვილი,** ჩემი მეგობარი, გულუბრყვილო ბიჭი, ქართული ბუნების, გამძლეობითა და მხნეობით დაჯილდოებული, ჩემს თაობაში პირველი ქართველი, ვინც გამოიზამთრა ანტარქტიდაში, მთელი ორი წელი იყო ამ უმკაცრეს კონტინენტზე, ვაჟკაცურად გადაიტანა მისი თითქოსდა გაუსაძლისი ბუნება, იქ ცხოვრების გაუსაძლისი პირობები, სიძნელეები და ერთი წამითაც არ შეურცხვენია ქართველი კაცის სახელი, რომელიც უფალმა მას დაანათლა.

რასაკვირველია, უჭირდა მარტოობა, ენატრებოდა ქართველი კაცი, თავისი მზიანი და ლამაზი სამშობლო, მაგრამ წინ დიდი მოვალეობა და მიზანი იყო – ანტარქტიდა, რომელიც უნდა დაეპყრო და დაიპყრო კიდევაც.

**ირაკლი ხაზიური** – რომელმაც ნახევარი მსოფლიო ისე შემოიარა, რომ ყველაზე ცნობილ მოგზაურებს შეშურდებოდათ, მერე სად – ციმბირი, იაკუტიის ტაიგები და გაუვალი ადგილები, ყარა-ყუმის უდაბნო, ტიან-შანისა და პამირის მთიანეთი და ბოლოს აფრიკა, ანგოლა, თავისი მძიმედ ასატანი ბუნებრივი პირობებით და მისი გადაადგილების მუდმივი თანამგზავრი ორი ავტომატით.

დაბოლოს **თამაზ ქარსიძე,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამსახურიდან, რომელმაც მომავალ თაობას შეუნახა ცნობილი ქართული საგვარეულოს - ქარსიძეების ისტორია.

მწამს და მჯერა, რომ სწორედ ასეთი ხალხი იდგა ქვეყნის სადარაჯოზე და იბრძოდა მის გადასარჩენად. სწორედ ამ ადამიანებმა და არა ვინმე სხვამ ან რაიმე სხვამ გადაარჩინა ეს ქვეყნის თვალი საქართველო და მოიყვანა დღემდე.

აი, სწორედ მათშია ქართული სინამდვილე, ერის ძალა, ბრძოლა გადარჩენისათვის: დღესაც ასე მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ ლუსიონ შონია, თემურ გრიგოლაშვილი, ირაკლი ხაზიური თუ თამაზ ქარსიძე, ეს უბრალო, გულკეთილი ადამიანი-მებრძოლები მარადჟამ უკვდავ ქართულ ფენომენს უდგანან მხრებით და გადარჩენის გზას გვიჩვენებენ.



**გრიგოლ შონია**

ტ. 599974644

# დამსახურებული აღიარება და ღირსეული დაფასება



**ბევრი პრობლემა და საფიქრალია დღევანდელ ყოფაში, თუმცა ის, რაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის მრჩევლის 81 წლის იუბილარის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ღირსების ორდენოსან ომარ კაჭარავას მიმართ მადლიერების და მილოცვების სახით განხორციელდა, ძალიან სასიამოვნო და მეტად ამაღელვებელი მოვლენა იყო. ამ ყველაფრის განსაკუთრებულობა ის არის, რომ იუბილარმა არც იცოდა სიურპრიზის შესახებ, როდესაც მთელი სამინისტროს კოლექტივმა და მოწვეულმა სტუმრებმა სიყვარულითა და პატივისცემით დააფასეს მისი ღვაწლი.**

იგი გახლდათ დარგში რამდენიმე მინისტრის მრჩეველი, ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა დაკისრებულ მოვალეობას სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი რჩევები ყოველთვის ქვეყნის ინტერესებს ეხებოდა. განსაკუთრებულია მისი როლი ბელარუსი და ქართველი მეწარმეების დაახლოებასა და ინტეგრაციაში. მისი განვლილი წლები გახლავთ გამოცდილება, ეს გახლავთ პროფესიონალიზმი, გახლავთ დარგის სიყვარული, რომელიც შემთხვევით არ ხდება და ის ყოველთვის დასაფასებელია. მინისტრმა ოთარ შამუგიამ, მინისტრის მოადგილემ გელა ხანიშვილმა, სოფლის მეურნეობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ჯაფარიძემ გულითადად მიულოცეს იუბილარს დაბადების დღე, ხოლო ვიდეომიმართვებით გულწრფელი მისალოცი სიტყვებით ჩაერთვნენ ბატონები ლევან დავითაშვილი და ოთარ დანელია. მათ აღნიშნეს ომარ კაჭარავას დიდი ღვაწლი ქვეყნისა და დარგის წინაშე. დღეს, როცა ასე გვაკლია სითბო და სიყვარული, ძალიან სასიამოვნოა, როცა ადამიანის მოღვაწეობა ასე ლამაზად და დიდებულად ფასდება.



ღვაწლმოსილი იუბილარი მეგობართა შორის.

**მალხაზ დოლიძე,**

**ტექ. მეც. დოქტორი, საქართველოს პურის მრეწ. კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი.**

# რაჭა-ლეჩხუმის ღვინის პირველი ფესტივალი

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და შპს „ჯი ეს სერვის გრუპის“ ორგანიზებით, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის პირველი ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში რეგიონის დიდი, საშუალო და მცირე 65 მარანი მონაწილეობდა, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებისთვის, ფესტივალზე მოწვეული ევროპელი იმპორტიორებისა და ქართველ ექსპორტიორებისთვის საკუთარი პროდუქცია წარედგინათ.**

ფესტივალს ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა.



ლევან მეხუზლას განცხადებით, ღვინის ეროვნული სააგენტო მიესალმება და მხარს უჭერს მსგავს ღონისძიებებს, რომლებიც ქართულ ღვინოს, ღვინის წარმოების ტრადიციებსა და კულტურას კიდევ უფრო პოპულარულს ხდის. რაჭა-ლეჩხუმის ფესტივალის ფარგლებში, ღვინის კომპანიების წარმომადგენლებისთვის ტრენინგები გაიმართა იმ მიმართულებებით, მათ შორის, გაყიდვების, ღვინის ტურიზმის, მარკეტინგის, რომლებიც რეგიონის მცირე მარნებს სჭირდებათ.

# აჭარით ყაზახები დაინტერესდნენ

**ყაზახეთის წამყვანი მედიასაშუალებების ჟურნალისტები და ინფლუენსერები აჭარის ტურისტული პროდუქტების შესახებ მასალებს ამზადებენ. Forbes-ის, Selfie Travel-ის, TV31-ის წარმომადგენლებმა ბლოგერებთან ერთად უკვე მოინახულეს ბათუმის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობები, ბოტანიკური ბაღი, პეტრას ციხე, არქეოლოგიური და ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმები. მათი ყურადღების ცენტრში მოექცა აჭარული ხაჭაპურის მომზადების მასტერკლასიც.**



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული მედიატურის მონაწილეები რეგიონში ყოფნისას მტირალას ეროვნული პარკის დალაშქვრას, გონიოს ციხის, ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობების მონახულებას, ადგილობრივი კერძებისა და ღვინის დაგემოვნებას გეგმავენ. საერთაშორისო და შიდა მედიაში აჭარის შესახებ სტატიების, რეპორტაჟებისა და გადაცემების მომზადების მიზნით, ასევე რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით აჭარას მედიისა და ტურისტული კომპანიების 259 წარმომადგენელი სტუმრობდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში პრეს-ინფოტურების მოწყობას წლის ბოლომდე გააგრძელებს.

# საზღვაო აკადემიის სტუდენტები – ფლენსბურგის უნივერსიტეტში

**ბათუმის საზღვაო აკადემიის ნავიგაციის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლიან გერმანიაში, ფლენსბურგის უნივერსიტეტში.**

აჭარის მთავრობა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სრულად დააფინანსებს სტუდენტების სწავლებას გერმანიის უნივერსიტეტში. პროგრამა ხორციელდება ფლენსბურგის უნივერსიტეტის ნავიგაციის ფაკულტეტზე უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. სტუდენტების ევროპული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით აჭარაში მოქმედ ყველა უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამა, რაც სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს.



◎ დიდგორი

# ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული



**გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან სამამულო სპორტის მატიანეში ქართველმა კალათბურთელებმა არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს. ამ წარმატებებს საფუძველი კალათბურთის კორიფეებმა — ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ ჩაუყარეს, რომლებიც 1947 წელს პირველად გახდნენ ევროპის ჩემპიონები...**

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ოთარ ქორქიამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. 1961 წელს იგი თბილისის „დინამოს" თავკაცად დაინიშნა — სახელოვანი გიორგი ავალიშვილის ხელში გამოწრთობილი ბიჭები ჩაიბარა და ისინი თვალშეუდგამ სიმაღლეზე აიყვანა: იმ წელიწადს ჩვენებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვეს და ჩემპიონ ცსკა-სთან ერთად ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც ჩაებნენ. მერვედფინალში დინამოელებმა ბუქარესტის „ზვეზდას" სძლიეს (77:76, 82:77), შემდეგ მის გზას გაუყენეს თურქეთის ჩემპიონი „დარუშაფაკი" (80:67, 84:49). ნახევარფინალში ქართველები ცსკა-ს დაუპირისპირდნენ...

ყოფილ საბჭოეთში ყოველთვის ცდილობდნენ, არმიას უძლეველი გუნდები ჰყოლოდა, ამიტომ უძლიერესი სპორტსმენები მოსკოვის ცსკა-ში იყრიდნენ თავს. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალში საცემი იყო კალათბურთში. 1961 წელს სწორედ ვარსკვლავებით დახუნძლულმა მოსკოველმა არმიელებმა მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა და „ვერცხლის კალათაც". მომდევნო წელსაც სურდათ, ზედიზედ მეორედ დაესაკუთრებინათ ევროპის ჩემპიონთა თასი. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდნენ ქართველი კალათბურთელები, რომლებმაც 1962 წლის 25 აპრილს საბჭოეთის დედაქალაქში პირველი ნახევარფინალური მატჩი (სასტარტო შემადგენლობა: გურამ მინაშვილი, ანზორ ლეჟავა, ვლადიმერ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი, ალექსანდრე კილაძე) ცსკა-სთან გამარჯვებით (75:71) დაასრულეს.

დინამოელთა წარმატებამ ძალიან შეაშფოთა საკავშირო სპორტკომიტეტის მესვეურები. ატყდა ერთი ვაიუშველებელი. განმეორებით მატჩამდე არ შეწყვეტილა საბჭოეთის დედაქალაქიდან ტელეფონის ზარები — შეხვედრა უნდა დათმოთ, რადგან ცსკა თასის მფლობელი და უფრო გამოცდილი გუნდია, ამიტომ ფინალში ქვეყნის ღირსებას უკეთ დაიცავსო...

ქართველი კალათბურთელები, „ზემოდან" დიდი წნეხის მიუხედავად, ცოცხალი თავით არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. განმეორებითი მატჩის შესახებ ცნობილი ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი გაზეთ „ლელოში" წერდა: **„შეხვედრის წინ გამარჯვების შანსები „დინამოს" სასარგებლოდ იხრებოდა. ჩვენი გუნდი მორალურად უფრო ახლოს იდგა წარმატებასთან. მოსკოვში მოგებული მატჩი ამის მტკიცე საწინდარი იყო და კიდევ, არასდროს „დინამო" არ ყოფილა გამარჯვების სურვილით ასე შეპყრობილი. ეს კი ბრძოლაში უკვე თავისთავად დიდ უპირატესობას იძლეოდა".**

სწორედ რომ ბრძოლაში, რადგან სპორტის სხვადასხვა სახეობაში რუსეთის ნებისმიერ გუნდთან შეხვედრა ქართველებისთვის ნამდვილი ბრძოლა იყო, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული. ეს ცსკა-სთან საკალათბურთო მატჩშიც ნათლად გამოჩნდა. პირველი წუთებიდან ნერვების ბრძოლა დინამოელთა დამაჯერებელი და ღირსეული გამარჯვებით დასრულდა — 74:66.

ევროპის ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლის გზაზე თბილისის „დინამოს" მხოლოდ ერთი მატჩი დარჩა გასამართავი. ეს იყო ფინალი ქართველებისთვის ყოვლად უცნობ გუნდთან — მადრიდის „რეალთან". პირენეელებთან შეხვედრა 1962 წლის 29 ივნისს ჟენევაში დაინიშნა, რადგან ესპანეთის მმართველმა ფრანკომ სამეფო კლუბს საბჭოეთში ჩამოსვლის უფლება არ მისცა და დინამოელთა მასპინძლობაზეც უარი თქვა.

მადრიდის „რეალმა" მეთექვსმეტედფინალში მაროკოს ჩემპიონ „კასაბლანკას" სძლია დიდი უპირატესობით — 82:38 (შინ) და 84:46 (სტუმრად). შემდეგ გზიდან ჩამოიცილა იტალიის „ინისი" (80:82, 83:62). ესპანელები პირველ მატჩში პოლონეთის „ლეგიასთანაც" დამარცხდნენ ვარშავაში 62:73, მაგრამ მადრიდში დამაჯერებელი რევანში აიღეს — 100:71. ნახევარფინალში ლუბლიანის „ოლიმპიამ" 13 ქულით აჯობა შინ „რეალს" — 105:92, თუმცა განმეორებითი შეხვედრა 53:69 წააგო და ფინალის საგზური ესპანელებს დაუთმო.

მადრიდელი კალათბურთელები მონდომებით ემზადებოდნენ გადამწყვეტი პაექრობისთვის, ისინი ერთი კვირით ადრე ჩავიდნენ შვეიცარიაში, რომ დარბაზსა და კალათს შეჩვეოდნენ. დინამოელები კი თამაშამდე 48 საათით ადრე ჩაფრინდნენ დანიშნულების ადგილას. ჩვენებს ესპანეთის გუნდზე წარმოდგენა მხოლოდ რიგის არმიელთა მონათხრობით ჰქონდათ. იცოდნენ, რომ პირენეელთა შემადგენლობაში ნბა-ს ორი წევრი თამაშობდა — ჰეიტაუერი (205 სმ) და მორისონი (203 სმ). ჰეიტაუერს ამერიკაში ჯერი ლუკასთან ერთად კალათბურთის ვარსკვლავს უწოდებდნენ. ჟენევაში მან, მართლაც, გამოიჩინა თავი, მაგრამ საკუთარ გუნდს მაინც ვერ გაამარჯვებინა. მადრიდელებმა „დინამოს" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და 83:90 დამარცხდნენ. ევროპის ჩემპიონთა თასი ქართველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს.

აქვე გთავაზობთ ფინალური მატჩის სტატისტიკურ მონაცემებს, ორივე გუნდიდან თუ ვინ რამდენი ქულა მოინაგრა:

**„დინამო" —** 5. ლევან მოსეშვილი 3, 6. გურამ მინაშვილი 9, 7. ილარიონ ხაზარაძე 2, 8. რევაზ გოგელია 0, 9. ვალერი ალთაბაევი 17, 10. ანზორ ლეჟავა 16, 11. ლევან ინწკირველი 3, 12. ვლადიმერ უგრეხელიძე 14, 13. ალექსანდრე კილაძე 14, 14. ალექსანდრ პეტროვი 12, 16. ამირან სხიერელი 0.

**მწვრთნელი:** ოთარ ქორქია

**„რეალი"** — 4, პედრო ლოპი 0, 5. ხოსე-რამონ დურანდი 0, 6. ხულიო დესკარტინი 0, 7. მანუელ საინსი 4, 8. ხოსე ლუისი 5, 9. ანტონიო პალმერო,10. ემილიანო როდრიგესი 21, 11. კარლოს სევილიანო 11, 12. უეინ ჰეიტაუერი 30, 13. სტენლი მორისონი 12, 14. ლორენცო ალოცენი 0.

**მწვრთნელი:** პედრო ფერანდისი, მსაჯები: ერვინ კაშაი (უნგრეთი), როჯერ ვებერი (შვეიცარია).

**„ოცდაათი წელიწადია, თვალს ვადევნებ ევროპის კალთბურთელთა თამაშს, მაგრამ ასეთი საინტერესო ბრძოლა ჯერ არ მინახავს. „რეალი" ქარიშხალი და ტექნიკა იყო, „დინამო" - ქარიშხალი, ტექნიკა და სათამაშო დისციპლინა",** — უთქვამს მატჩის შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს უილიამ ჯონსს, რომელმაც თბილისელები „ვერცხლის კალათათი" დააჯილდოვა.

ჟენევაში გამართულ დაუვიწყარ მატჩს ესწრებოდა 82 წლის ემიგრანტი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე. ეს მის ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე დიდი უკანასკნელი სიხარული იყო, რადგან 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა.

„დინამოს" გამარჯვებით აღტაცებულმა გრიგოლ რობაქიძემ დას (ლიდა რობაქიძეს) თბილისში ორი წერილი გამოუგზავნა. გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი ბარათიდან: **„ქართველები თამაშობდნენ: აუღელვებლად, შეწყობილად, მეტოდიურად — აქ, სჩანდა უთუოდ ხელი მათი ხელმძღვანელის ოთარ ქორქიასი...**

**მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული... ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება: ბევრად, ბევრად მეტია უკანასკნელზე. როგორც ქართველი - მე მხრებში გავიმართე"...**

მადრიდის „რეალთან" გამარჯვების სიხარული მაშინ მთელმა საქართველომ გაიზიარა. თბილისის აეროპორტში ევროპის ჩემპიონებს ზღვა ხალხი დახვდა. ახლობლები, მეგობრები, უბრალოდ, ნაცნობები გულში იკრავდნენ ოქროს ბიჭებს. მართალია, ტრიუმფს საძირკველი გიორგი ავალიშვილმა ჩაუყარა, მაგრამ გამარჯვების კვარცხლბეკზე ისინი, როგორც ვთქვით, დიდმა ოსტატმა, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, ევროპისა და საბჭოთა კავშირის სამ-სამგზის ჩემპიონმა, საკავშირო თასის ორგზის მფლობელმა ოთარ ქორქიამ აიყვანა.

დაუვიწყარი დღეა ქართული სპორტისთვის 1962 წლის 29 ივნისი. ჟენევაში თბილისის დინამოელების მიერ მადრიდის „რეალის" დამარცხებისა და ჩემპიონთა თასის მოპოვების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, სპორტის ამ პოპულარულ სახეობას მისი დღის დაწესებაც დაამშვენებდა — **ქართული კალათბურთის დღე,** რომლის სადარად **29 ივნისი** მიგვაჩნია.

**ვაჟა დანელია.**

**სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე**

◎ ტრადიცია

# ზაზა დარასელის არდავიწყება



**ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური მზადების აკადემიის დარბაზში ხუთ დღეს მიმდინარეობდა ზაზა დარასელის მემორიალური ტურნირი მინი-ფეხბურთში. ასპარეზობაში, რომელსაც ოცდაორწლიანი ტრადიცია აქვს, ძირითადად, ტელეკომპანიების გუნდები მონაწილეობდნენ. წლევანდელი გათამაშება მოულოდნელობებით იყო გამორჩეული. რამდენიმე ფავორიტმა, კერძოდ, პოს ტვ-ისა და პირველი არხის წარმომადგენლებმა, რომლებიც ყოველთვის მოწინავეთა შორის იყვნენ, ფინალში ვერ გააღწიეს. წარმატებული დებიუტი ჰქონდა „ერი მედიას" გუნდს, რომელიც გადამწყვეტ ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით — 2:1 — დამარცხდა შარშანდელ ჩემპიონთან, აფხაზეთის ტელევიზიის გუნდთან.**

სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული პრიზები ასე განაწილდა: საუკეთესო მეკარე გახდა „ერი მედიას" წარმომადგენელი **ალექსანდრე იაშვილი,** მცველი — **ლაშა ხარაიშვილი** — „აფხაზეთი", თავდამსხმელი — **ლევან კობახიძე** — „ტოიოტა-კავკასია". ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად **ზაზა ფიფია** („აფხაზეთი") აღიარეს. ზაზა დარასელის მემორიალის ჩატარების იდეა ფეხბურთის დიდ ქომაგს სერგო კიკალეიშვილს ეკუთვნის. შარშან სერგო გაერიდა სააქაოს და ძალიან დაგვწყვიტა გული. ჩვენი ფეოლას ხსოვნის ნიშნად მის სახელს ატარებს ყველაზე კორექტული გუნდისათვის დაწესებული თასი, რომელიც სერგო კიკალეიშვილის ვაჟმა, გიორგიმ, ფულად ჯილდოსთან ერთად, გადასცა ნომინაციაში გამარჯვებული გუნდის, „აფხაზეთის" კაპიტანს, გია ფიფიას. ზაზას თასის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდია არბიტრის წვლილი. მადლობა ცოტნე სამსონაშვილს. მერწმუნეთ, იოლი არ იყო ამბიციური და აზარტული ჟურნალისტების მართვა.

მადლობა ყველას,ვინც დაგვეხმარა ტრადიციის გაგრძელებაში. რომ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის, ქალბატონ თიკა ბერძენიშვილისა და მისი გუნდის თანადგომა, შ.პ.ს. „ტოიოტა-კავკასიის" და მისი გენერალური დირექტორის, ბატონ კოჯი მაცუნოს ფინანსური მხარდაჭერა, სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882"-ის მიერ გულუხვად გაღებული საჩუქრები, ლანა მარგიანისა და ქრისტინე ჯავახიას გულისხმიერება, ტურნირი ასე წარმატებით ვერ ჩატარდებოდა. მადლობა მათ და მადლობა ყველას, ვინც გამოგვეხმაურეთ, გაგვამხნევეთ და ჩვენთან ერთად გაიხსენეთ ზაზა დარასელი.

**გოჩა ქორიძე,**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო**



**აუზში**

# დამარცხებულებს არ ასამართლებენ

**კოშმარული 2014 წლის 17:2-ის შემდეგ თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესში მყოფმა მონტენეგრომ ზედიზედ მეხუთედ დაგვამარცხა, მაგრამ მშრალი სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს, რომ მრისხანე ბალკანელებს სულ უფრო უჭირთ „ჯვაროსანთა“ ძლევა და შორს აღარაა ის დღე, როცა ნავსს აუცილებლად გავტეხავთ.**

განსაკუთრებით დასანანი გახლდათ ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის მატჩის დათმობა, რადგან უკანასკნელ წამებზე ისტორიული ქულის მოპოვების რეალური შანსი ვერ გამოვიყენეთ.

ნუსხა გავიხსენოთ: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ლიგის 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატების 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალოსანი.

### საქართველო – მონტენეგრო 9:10

**(1:4, 3:0, 3:4, 2:2)**

**გოლები:** ვასიჩი — 3, ბითაძე — 2, შუშიაშვილი, სარიჩი, იმნაიშვილი, ვაპენსკი (საქართველო).

### უნგრეთი – ბრაზილია 20:6.

ასევე გმირულად იბრძოლეს ჩვენმა ბიჭებმა ფავორიტ მას-



მთლიანობაში, **დეიან სტანოიევიჩის** გაწვრთნილი გუნდი ალტაცებას იმსახურებს, რადგან წყალბურთის სამყაროში აღიარებული შესანიშნავი შვიდეულის წევრ ღირსეულ მეტოქესთან ორჯერ მოახერხა 3-ბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა და მეორე პერიოდი სულაც მშრალი ანგარიშით მოიგო!

რაც შეეხება ცალკეულ მოთამაშეებს, შეხვედრის გმირად უდავოდ მეკარე შუბლაძე უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც არაერთი „მკვდარი ბურთი“ მოიგერია.

მოდით, მეტი სიცხადისთვის ექს-იუგოსლავთა ტიტულების

პინძლებთან 14:18 (3:3, 3:7, 5:4, 3:4), რომლებიც კონტინენტის 13-გზის, ოლიმპიადების 9-გზისა და მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონები, აგრეთვე მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელები და მსოფლიო ლიგის ორგზის გამარჯვებულები არიან.

### მონტენეგრო – ბრაზილია 20:5.

**ჯგუფური ეტაპის საბოლოო მდგომარეობა:** უნგრეთი — 6, მონტენეგრო — 4, საქართველო — 2, ბრაზილია — 0 ქულა.

ასე რომ, დღეს პლეი-ოფში ხორვატებს ვხვდებით!

**თაოზა**

# ზედიდედ მეორედ



**ალექსანდრე წივწივაძემ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ნიჩბოსან ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი ტრიუმფით დაასრულა.**

18-წლამდელებში ერთადგილიანი კანოეთი ალექსანდრემ 1000 მეტრზე (4:11,91) საკვალიფიკაციო გაცურვისას მეორე ადგილით მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ფინალურ გაცურვაში მან კიდევ უფრო უკეთესად იასპარეზა (3:58,45) და ევროპის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა.

**ოვალური ბურთი**

# ქართული ზაფხული



**დიდებული განწყობით ხვდება სანაკრებო ტესტებს „ბორჯღალოსანთა“ ახალგაზრდა ლიდერი გელა აფრასიძე, რომელიც ელიტური საფრანგეთის ჩემპიონი გახდა ტრავმირებულ თანამემამულე მიხეილ ნარიაშვილთან ერთად.**

ნახევარფინალის ჩვენებური გმირი ამჯერადაც შეცვლაზე შევიდა და, მართალია, ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „მონპელიეს“ მიერ პირველი ტიტულის მოხვეჭაში (ორი წაგების შემდეგ) ღირსეული სეზონური წვლილი შეიტანა — 29:10 (პირველი ტაიმი — 23:3). აღსანიშნავია, რომ ტრიუმფატორთა მეტოქემ გადამწყვეტ მატჩში „კასტრმა“ წინა ეტაპზე ტურნირის უმთავრესი ფავორიტი „ტულუზი“ ჩამოაშორა, მაგრამ, ეტყობა, ძალები ველარ აღიდგინა. მისი ქართველი ბურჯი **ლევან ჩილაჩავა** მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა.



**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 90-იანი წლების თანამშრომლები და ხელმძღვანელობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან 1992-1997 წლებში ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გამორჩეული პიროვნებისა და ორგანიზატორის, აფხაზეთის ომში სამედიცინო სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალრის ბატონი**

## ლადო გიორგაძის

**გარდაცვალებას და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.**

**პანაშვიდი 27 ივნისს, გამოსვენება 28 ივნისს, 15 საათზე. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11.**

## პატრიარქმა ლევან კბილაშვილის ოჯახსა და ახლობლებს მიუსამძიმრა

**სიონის ტაძრის მგალობელი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, ბოლო დროს კი საესტრადო ჟანრში მოღვაწე ლევან კბილაშვილი სრულიად ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან და თან გაიყოლა მრავალთა გულისტკივილი,** — ამის შესახებ ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმრის წერილში.

**„გამორჩეული ხმისა და სულიერი სამყაროს მქონე ეს პიროვნება ჯერ კიდევ ძიების პროცესში იყო და მრავალი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, თუმცა ღვთის წინაშე სურვილიც საქმედ შეერაცხება.**

**აღვავლენთ ლოცვებს ლევანის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო მის მშობლებს, და-ძმასა და ახლობლებს მოანიჭოს ლოცვის ძალა და ურყევი რწმენა მარადიული ცხოვრებისა, რომლის მკვიდრიც ლევანი უკვე გახდა“,** — ნათქვამია სამძიმრის წერილში.



**სამეგობრო — ფრიდონ ინჯია, ვახტანგ თოდუა, თემურ ბერიშვილი, თემურ ღოღობერიძე, დემურ ინჯია, თორნიკე აფაქიძე უსამძიმრებენ ბატონ ავთანდილ იაშვილს და გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას მეუღლის, ქალბატონი**

## მარინა იაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

---

**ფრიდონ ინჯია ოჯახით, უსამძიმრებს ბატონ ავთანდილ იაშვილს და გამოთქვამს დიდ მწუხარებას მეუღლის, ქალბატონი**

## მარინა იაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „ახალი ქსელების“, შპს „ფოპტნეტის“, შპს „ახტელის“ თანამშრომლები უსამძიმრებენ კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ავთანდილ იაშვილს და გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას, მეუღლის, ქალბატონი**

## მარინა იაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

## დავით გუბელაძე



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ინჟინერიის დეპარტამენტი დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყება პროფესორ დავით გუბელაძის გარდაცვალებას.**

**მოულოდნელად წავიდა ჩვენგან დიდი პროფესიონალი, მაღალი რანგის მეცნიერი, დაგვეთანხმებით, 62 წელი ის ასაკია, როდესაც საქართველოში აგრარული მეცნიერების ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებდა. ბატონი დავითი მუშაობდა რამდენიმე პროექტზე როგორც მელიორაციაში, ასევე ახლადშექმნილ მთის ფაკულტეტის პროგრამებზე, მის სახელს უკავშირდება 155 სამეცნიერო ნაშრომი და 8 მონოგრაფია. ასეთი გამოცდილების მეცნიერი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგრომელიორაციის დეპარტამენტს. სულ ახლახან ძალიან საინტერესო წიგნი გამოიცა „ცირკულარული ეკონომიკა“, რომელიც სწორედ მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომია. ის გახლდათ „ღირსების ორდენის“ კავალერი, აქტიური, შრომისმოყვარე და მელიორაციაზე უსაზღვროდ შეყვარებული პროფესიონალი. ითვლებოდა აკადემიკოს ნათიშვილის ერთგულ მოწაფედ, რომლის ხსოვნასაც ბოლომდე პატივი მიაგო. ასეთი ღირსეული პიროვნების უდროოდ გარდაცვალებამ გული დაგვწყვიტა მის თანამშრომლებსა და საახლობლოს. დავით გუბელაძის სახით დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა აგროინჟინერიის დარგმა.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტი**

# შენს მიწას მიმაბარეთ...

**უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლს კახეთში დაკრძალავენ. ალუდა ზვიადაური მშობლიურ სოფელ გომბორში გადაასვენეს. 42 წლის ალუდა ზვიადაური სევეროდონეცკში საბრძოლო მოქმედებების დროს მაშინ დაიღუპა, როდესაც დაჭრილის დახმარებას ცდილობდა. რუსეთ-უკრაინის ომს ჯამში 16 ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა.**




## ქეთევან გოდერძიშვილი

(ფილოლოგიის დოქტორი)

**ღადანა** – 16 წელი (164-180) მართავდა იბერიას. გახლდათ ფარსმან II ქველის ოჯახის წევრი, კერძოდ,

**1)** ლეონტი მროველის მიხედვით – ფარსმან ქველის მეუღლე: ფარსმან ქველის ვაჟის, ადამის გარდაცვალების შემდეგ „მეფობდა დედა ადამისი, ცოლი ფარსმან ქველისა... ღადანა".

**2)** აკადემიკოსების, მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის აზრით, ღადანა ადამის ცოლია: ადამს – დარჩა 1 წლის მემკვიდრე, ფარსმანი (III). მისი ყრმობის პერიოდში ქართლში მეფობდა ადამის მეუღლე და ფარსმანის (III-ის) დედა ღადანა" („საქართველოს მეფეები", 2000).

ჩვენ ვეყრდნობით მეორე თვალსაზრისს.

## გადაძახება II საუკუნესთან

**პირველი ქალი-მმართველი,**
**სულით ხორცამდე ქართველი,**
**დედა, ცოლი და უფროსი**
**რძალი დიადი ქართველის...**
**ფარსმან II-ის ფარ-ხმალით**
**სპარსთ აგრესიის ჩამკვლელი**

**ასეთი იყო ღადანა,**
**ქალი – იბერის ტახტმჯერი,**
**მეორე საუკუნეში –**
**რძალი, ცოლი და მმართველი!**

**ანტონიუსის ბრძანებით,**
**რომში რომ დადგეს ქანდაკი,**
**ცხენს შემომჯდარი ამაყი**
**ქართველი მეფის, ფარსმანის,**
**სწორედ მის რძლად წოდებული**
**გახლდათ იბერის მფარველი,**
**15 წელი სპარსთაგან**
**ქართული მიწის დამცველი!**

**ღირსებით შემოუნახა**
**თავის ერთადერთ ვაჟიშვილს**
**ღვთისმშობლის ხვედრი მიწისა**
**და ფარსმან ქველის სახელი!**

# ფუტკრებს რომ არ დაეკბინათ...

**ამერიკელმა გოგონამ მიკაელა ულრემმა, დიდი ბებიის მიერ დატოვებულ კულინარიულ წიგნში ნაპოვნი ლიმონათის რეცეპტით, 11 წლის ასაკში 11 მილიონის დოლარის გამომუშავება შეძლო.**

ჯერ კიდევ 4 წლის იყო, როდესაც პატარა გოგო ფუტკრებმა დაკბინეს. შეშინებულ ბავშვს მშობლებმა აუხსნეს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ მწერს ადამიანებისთვის. ამის შემდეგ ამერიკელ მეოცნებეს, არა მარტო ბიზნესიდეა დაებადა, არამედ იგი გახდა ფუტკრების პოპულაციის გადარჩენის სიმბოლო ამერიკაში.

მიკაელამ დიდი ბებიის დანატოვარ რეცეპტს თაფლი და პიტნა შეურია. ლიმონათი იმდენად გემრიელი აღმოჩნდა, რომ მასთან მსხვილმა კომპანიებმა გააფორმეს კონტრაქტი. მიკაელა ახლა 17-წლისაა, იგი ერთ-ერთ ახალგაზრდა მილიონერად ითვლება ამერიკაშა. გოგონა სამჯერ შეხვდა ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, სიტყვით გამოვიდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე და აგრძელებს მწერების დაცვის კამპანიას. მისი შემოსავალი და საოჯახო ბიზნესი კი ყოველდღიურად იზრდება.



# ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები საქართველოდან

**სოციალური საწარმო „კოდალა" ,რომელიც 2013-წ. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის" ინიციატივით დაარსდა და მალე უმსხვილეს ონლაინ ვაჭრობის ქსელ „ამაზონზე" გაიყიდება.**

თავდაპირველად, ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების საწარმოს შექმნის იდეა, შშმ პირების დასაქმება და რესოციალიზაცია გახლდათ. მათი თანამშრომლების უმრავლესობა, სწორედ, რომ შშმ პირები არიან.



Amazon-სსათამაშოების გაყიდვის ექსკლუზიური უფლება აქვს. პირველი პარტია უკვე გაიგზავნა და სულ მალე განთავსდება ონლაინ პლატფორმაზე. ამჯერად 7-სახის პროდუქცია გავა ბაზარზე, სამომავლოდ კი მათი რიცხვი გაიზრდება. ამ ეტაპზე „კოდალა" 200-მდე ეკომეგობრულ ხის სათამაშოს, სხვადასხვა ნაკეთობებს და საბავშვო ავეჯს ამზადებს. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ, ამ მართლაც ეროვნული საქმის მაკეთებელ ადამიანებს.

# უარი – უმდიდრეს მამაზე...

**მსოფლიოს 2022 წლის მილიარდელთა სიის ლიდერის ილონ მასკის პირადი ცხოვრება მედიისთვის ფაქტიურად დახურულია. ცნობილია, რომ მას 7-შვილი ჰყავს. 5-მათგანი კანადელ მწერალ ჯასტინ უილსონთან ქორწინებისას შეეძინა, 2-კი – პოპ-ვარსკვლავ გრაიმსთან.**

ტაბლოიდებში ფაქტიურად არ იძებნება მათი ერთად გადაღებული ფოტოები. როგორც მასმედია იუწყება მასკის ვაჟმა, 18-წლის ქსავერმა გადაწყვიტა სქესი შეეცვალა და აგრეთვე მამის გვარზეც უარი ეთქვა, რადგან მას უმდიდრეს მამასთან კონტაქტი აღარ სურს. 24 ივნისს სასამართლომ დააკმაყოფილა ტრანსგენდერი მოზარდის მოთხოვნა, სქესის და სახელის შეცვლაზე და ამიერიდანვივიან ჯენა უილსონად იწოდება. მიუხედავად იმისა, რომ მასკი თავს ლგბტ თემის მხარდამჭერად აცხადებს, მისი შვილის თქმით მამამისი, ყოველივე ამას საზოგადოების თვალის ასახვევად აკეთებს და სინამდვილეში, მისი განცხადებები ქსენოფობიურ შინაარსს შეიცავს.





# აღმოაჩინეს გამყინვარების ხანის მამონტი

**ჩრდილოეთ ამერიკაში, კანადაში, იუკონის ტერიტორიაზე, ბეწვიანი მამონტის გაყინული ნეშტი იპოვეს..**

ცხოველი დაახლოებით 30 000 წლის წინ ცხოვრობდა. მისი სხეული ოქროს მაღაროში აღმოაჩინეს. იუკონის მთავრობა განმარტავს, რომ ეს ყველაზე კარგად შემონახული მამონტია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკაში იპოვეს და მსგავსი აღმოჩენა მსოფლიოში მხოლოდ მეორეა (მსგავსი აღმოჩენა 2007 წელს ციმბირშიც იყო).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 29 ივნისს**

**ყურადღება!**

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მორიგი, №6 (17) ყრილობა ჩატარდება 2022 წლის 2 ივლისს, შაბათს, ჟურნალისტთა კავშირის სააქტო დარბაზში. მისამართი – ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 17 ე (ყოფილი 17 ა), მცირე აკადემიის შენობა. დასაწყისი – 14 საათზე. დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 13 საათიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9360; ევრო - 3.0954
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6122;
100 რუბლი - 5.4654; თურქული ლირა - 0.1689;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7312;
1000 სომხური დრამი - 7.2049.

**ამინდი 27 ივნისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +30 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +16, | დღე +31 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge